


40
973



1h-tv



(ციკლიდან — „მამული მღერის
უკვდავ სიმღერას“)


სიმღერა საქართველოს

რა ხასხასა ფერებია,
მთიდან ბროლის სივილია;
რაც კი დაგვიმღერებია,
საქართველოს ღიმილია.
საქართველოვ,
ტკბილო დედავ!
ჩვენო სუნთქვავ,
ჩვენო სისხლო,
შენებაა, ჩვენდა ბედად,
შენს მთა-ბარში სადღეისოდ.
სადღეისოდ გრგვინავს გრდემლი,
უქმად დრო არ იკარგება,
ასი გზა თუ ასი გრემი
ჩვენი ხელით იკარგება.
უგდეთ ყური რუსთავ-ქალაქს:
უღერს ფოლადი მქუსარ ხმაში,
სამგორმა კი — ჩვენი ძალა
იგარძნო მწვანე მხრების გაშლით.
იტყვი ერთზე...
გრჩება ასი,
ჩვენი ხალხის სასახელოდ, —
იცის!
იცის შრომის ფასი
ჭირნახულმა საქართველომ.
ვით სიმღერა, ისე მესმის
შექმნის რიტმი — მშვენიერი,
სიამაყე — ენგურაჭესი —
მომავალი ჩვენი ერის.
როს უინვალთან ზღვა დადგება,
სასიკეთოდ ამინდს შეცვლის.
დღეს ქართველის თავდადება,
ვით სიმღერა ისე მესმის.

დავასთან თუ მწვანე ბაღში,
ჩვენი დროშა
ყველგან ელავს.
ვქმნით და ვიღწვით, დროის ვალში
ჩვენ არ ვრჩებით —
მწესთან ვდელავთ.
მწესთან დელავს ტალღა ჩვენი:
სიბრძნის,
წინსვლის,
მუდამ რწმენის, —
სიდიადე შოთას ენის —
დელავს,
ელავს დროშა ჩვენი.
ჩვენი მიწის ჰანგებია
უკვდავების შესადარი, —
ან ეს ნახე,
რა გვრგებია:
საედემო მთა და ბარი.
დღეს გუგუნი მძლავრი ისმის,
განა ისე,
ჰაიჰარად,
ქუხდეს უნდა ქართველის სისხლი
საქართველოს გასახარად!

*ჩვენი
დროშა*

თბილისი ჩემი —
ვახტანგ მეფის მკერდია თითქოს,
ქუჩები მისი —
ძარღვებია თითქოს ვახტანგის;



12178

მე ახლა ვიცი
მტკვარი ჩუმად თუ რაზე ფიქრობს,
წარსულმა მისმა
მწველი ფიქრით რისთვის გამთანგა.
აქედან ვიცი
საძირკველი ჩემი ქალაქის,
აქედან ვიცი,
თუ რა სურდა მცხეთის მაცხოვარს,
ეს სიმათლეა,
სიმათლეა, არა არაკი,
რომ ვახტანგ მეფემ
პოვა,
შექმნა,
მერე აცხოვრა.
და ეს სიმათლე
სიხარულით სიმღერას მითრობს,
ქალაქი დელავს,
მონუსხული ვდგავარ ამ ჰანგით —
თბილისი ჩემი —
ვახტანგ მეფის მკერდია თითქოს,
ირგვლივ მთები კი —
კუნთებია თითქოს ვახტანგის.

*ვახტანგ
მეფის
მკერდია*



რას არ მყვებიან
ეს წარწერები,
მათი ხმა,
როგორც მუსიკა ისმის, —
აჩუქურთმებენ
ქვეს სიმღერებით,
მოოქროვილნი
წინაპართ სისხლით...
იგი ოსტატი
საჭრეთლის ხმაზე,
თუ როგორ წერდა,
მე დავინახე.

იყო მდუმარე, ფიქრებით ხავსკეცხული
და... ახლაც მოსჩანს ზიზღიერთა
უქცნობ ვენახად.
და დაღადებენ დღესაც მძლე
ხმებით —
თუ რა გზა განვვლეთ ცეცხლით,
ომებით,
მარად უკვდავი ბოლნისის ქვები,
ქვები —
ჩუქურთმა ჩვენი გონების.

*ძველი
კარგული
სიძველე*



მთვარე რეკავს მერეველა,
ღეგინდებში სძინავს ოდიშს, —
მოწყენილი დედა კერავს
ქრაქის შუქზე ჩემზე ლოდინს.
ხე სიცოცხლის
რად გინმება?
მელოდები?
რა ვქნა, დედი,
აქ, თბილისში ვინ დახვდება
თემურ-ლენგს თუ...
ჯალაღედინს?



ქალაქი

2

იუბილუმი

1973

საბავშვო საბავშვო საბავშვო
საბავშვო საბავშვო საბავშვო
საბავშვო საბავშვო საბავშვო

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კ. ს. კ. კ.
გამომცემლობა





გადაურჩა, შიმშილი მოკლავს მასწავლებელს!

საქონიზე, შეუბნის იჭიბოს...

გიორგი სანალიკაძე

მხატვარი აბაგი თავაძე.

მოთხრობა პირველი

ძილის წინ პატარა ჰემიდს დედა უმღეროდა... კარგად ახსოვდა დედის „ნანა“, ქარის შხუილის მსგავსი — ყავარზე მოწკაპუნე წვიმიოთა და ხმელი ფოთლების შრიალით შეზავებული. დედა კი არ მღეროდა, ქათმის ფრთას ყურის ბიბილოებზე უსვამდა თითქოს. ბიჭი ჯერ იშშუშუნებოდა, იღიმებოდა, მერე უცებ აკისკისდებოდა და მთელი სახლიც ერთბაშად განათდებოდა.

ერთხელ, ღამით, დედას აღარ უმღერია. ჰემიდმა დიდხანს იწრიალა. მერე დალილს ჩაეძინა და, როცა გაეღვიძა, დანადვლიანებული მამა დაინახა. ბიჭმა წამოიწია, მიმოიხედა.

— ნენე სადაა?

— არ ვიცი.

— სადაა ჩემი ნენე? — მეზობელ-მეზობელ დადიოდა ჰემიდი, არავინ იცოდა, სად იყო მისი ნენე. ბოლოს, ვიღაცას შეეცოდა: „ტყუილად ეძებ დედაშენს, ქარმა წაიყვანა“.

როცა ხეობიდან ძლიერი ქარი ქროდა, ჰემიდს ეჩვენებოდა, ჰაერის ტალღა სადღაც ექაჩებოდა, თავისკენ უხმობდა, უწეწდა თმას, უძვრებოდა საყელოში, თვალეებზე აფარებდა ხელს... თითქოს ყურის ბიბილოზე ქათმის ფრთას უსვამდა ვიღაც, ალბათ, ამიტომ, ეს ქარი დედის სიმღერას აგონებდა.

მერე მეზობლის პატარა ბიჭი, რეჯები, წაიყვანა ქარმა. რეჯებს ფემიდის და ნაილე მიჰყავდა... სოფელს უცნაურმა ავადმყოფობამ დარია ხელი. შეშინდა სოფელი. გვიმრის

მყრალი კვამლითა და ჯინდარჯის — ექიმბაშის მოცემული წამლებით ცდილობდა ამ უცნაური ავადმყოფობის განდევნას. ამაოდ. ავადმყოფობა ყოველთვის მოულოდნელად წამოეპარებოდა ხოლმე მსხვერპლს. ტახიფერდას სათბბში მიმავალ ასლან ბუქას დაუდო ფეხი, მოცელა მკედელი ენვერ მალქვაძე, ხოლო სოფლის ბოლოს მდგარი შიშმანიძის სახლი უპატრონოდ დატოვა.

სასაფლაოსკენ მიმავალი გზა ჰემიდის სახლს თითქმის ერთი ვერსით უვლიდა გვერდს. თავჩაქინდრულ, უბრად მიმავალ ხალხს დაინახავდა თუ არა, ჰემიდი მაშინვე ხვდებოდა, რაშიც იყო საქმე.

— ქარია? — ჰკითხავდა მამას.

— ჰო, შვილო, ქარია.

— ცუდი ქარია, — დედა გაახსენდებოდა ბიჭს.

— ჰო, ცუდი ქარია, — თავზე გადაუსვამდა მამა ხელს. ხეზეში, მძიმე ხელი ჰქონდა. — აქედან უნდა წავიდეთ. მეშინია, ქარმა არ წამართვას შენი თავი.

მაგრამ მერე ქარი შეწყდა და, როცა ბიჭმა ეზო-ეზო ჩამოიარა, გაცოცხლა: სოფელი თითქმის დაცარიელებულიყო.

— კუზიან მთაზე წასვლის დროა. — უთხრა ერთ დღეს მამამ სტუმრად მოსულ ყედირას. — ოსმან-ალა სამუშაოდ შედახის. კარგ გასამრჩელოსაც შემპირდა.

— ყიამეთი დროა, — ამოიოხრა ყედირამ. — ვინც ავადმყოფობას

— წავიდოდი, მარა ბიჭს რა ვუყო? — თქვა მამამ.

— შე წაიყვან. ჩემთან იცხოვრებს. შენც იცხოვრე. სამივე უფრო კარგად გავიტანთ თავს. რა ძნელი გადასაწყვეტი ეს არის?

ჰემიდმა ყედირას შეხედა. ძალიან უნდოდა ბიძასთან ყოფნა, და უფრო მიეკრა...

იმ წელს დიდი თოვლი მოვიდა. მამამ ყედირას სახლს ლამფები გამოუცვალა, მაგრამ მაინც ეშინოდა, ვაითუ თავებმ ვერ გაუძლოსო. ყავარიც დამპალიათ.

შემდეგ მამა ოსმან-ალას საქონელს გაჰყავდა კუზიან მთაზე. ჰემიდი მთელი დღეები ბიძის გვერდით იჭდა. ყედირა, მართალია, ცალი თვალით უყურებდა ქვეყანას, მაგრამ ორ ხელსა და დანას შესანიშნავად ხმარობდა: ამ ხელებითა და დანით ყველაფრის გაკეთება შეეძლო. ციგა მოუწუნდა ჰემიდს? ა, ბატონო, ციგა! სხაპი მოუწუნდა ჩიტების დასაქერად? ა, ბატონო, სხაპი! ერთი სიტყვით, ჰემიდს იმდენი სათამაშო ჰქონდა, რომ ოსმან-ალას ბაღიშებს კიდევ შურდათ მისი. ისინი ჰემიდთან ერთად დარბოდნენ ტყეში, ღელეში იჭერდნენ წვერას, უსაფრდებოდნენ კურღლეულს... შუღამ კარგად ეცვათ — ქალაქიდან ამოტანილი წულები, ლამაზი, ყანაოზის პერანგები და ბროწეულისფერი ახალუხები. მოსირმულ ქამარზე კი პაწია ბებუთები ეკიდათ.

ერთ დღეს ყედირამ თქვა:

— გული არაფერზე მიდგება. ეტყობა, ჩემს მარჯვენას უფრო კარგი რალაცის გაკეთება შეუძლია. ხის მოცეკვავე კაცუნებზე რას იტყვი, ა? — მიუბრუნდა ჰემიდს. ბიჭმა გოცეებისაგან პირი დაალო და, როცა დამუწა, ბიძამისი უკვე შორს იყო — ონტოროთის ტყისაკენ მიჩაქუნობდა. ცალი ხელით ჯოხს იბეჭებდა, ცალით კი ჩიბუხს აბოლებდა.

მთელი შემოდგომა და ზამთარი ელოლიავებოდა ყედირა ონტოროთის ტყიდან მოტანილ შორს. ილღებოდა, მაგრამ თავს არ ანებებდა. ბუზლუნებდა: ერთი თვალი მაქვს და ძილის დროს მასაც ვერ ვხუჭავო. მაგრამ ასე როდი იყო: სახლის უკანა ერდოს ჩრდილი დაეცემოდა თუ არა, ბერიკაცი უკვე ლოგინში ნეზიგობდა, და თავს მაშინლა წამოსწევდა მუთაქიდან, როცა კარგად განათებულ ქვეყანას ერთი პირი საქმე მოთავებული ჰქონდა. წამოიწევდა, გადმოიხრებოდა მისთვის საგანგებოდ გაკეთებულ ტახტიდან, ჯერ

ცალ ფეხს გადმოდგამდა — იატაკზე დათვის ტყავი ეფინა, — მერე მეორეს და, როცა გასწორდებოდა, სახსრები საშინელ ტკაცანს იწყებდნენ. ყეღირა მუდამ გაოცებული აყურდებდა ამ ტკაცანს. ბოლოს ამოიხრებდა:

— დავებრდი, ბაბა, გავხში, ალბათ, ბოსელთან რომ წიფლის ხეა, ისე.

კარგად რომ დანაყრდებოდნენ, ყეღირა ცეცხლის პირას, ჰემიდის გვერდით ჩაცუტვდებოდა. რაც ყეღირა ამ უცნაურ, სასაცილო კაცუნებს თლიდა, ჰემიდს ორი კბილი ჩამოსძვრა და ორი ახალი კი ნახევრად ამოუვიდა.

— ეს კაცუნები იცეკვებენ? — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა ბიძას.

— უნდა იცეკვონ, — დარწმუნებით ამბობდა მოხუცი.

„მაბეჩებს, — ფიქრობდა ბიჭი, — ხის კაცუნების ცეკვა ვის გაუგია?“

გარეთ კი მატულობდა და მატულობდა თოვლი. დაიყურსა ქვეყანა, თეთრ ზეწარში ჩაიმალა. ჰოდა, სწორედ ასეთ ამინდში გამოვიდა ოსმან-ალა სანადიროდ. ტახი წამოუხტა, ესროლა — დააცილა. ესროლეს მისმა ახმახმა შვილებმა, დააცილეს. მაშინ სამად გაიყვნენ და ფერდობს შემოართყეს ალყა.

სროლაზე ჰემიდმა გარეთ გაიხედა. — რა ამბავია, ჰა? — შემოესმა ყეღირას ხმა.

— ვილაცები ჩვენსკენ მოდიან.

— ოსმან-ალა იქნება, ამ თოვლში მაგას თუ ეხალისება თოფის სროლა, — თქვა ყეღირამ და თავის კაცუნებს მიუბრუნდა.

ოსმან-ალა პანტის ძირას ჩასაფრდა. სად იყო და სად არა, ტახი გამოხტა. ვეება ტახი იყო. ესროლა აღამ, მაგრამ ეტყობა, ამჯერადაც არ გამოუვიდა მიზანი — დაჭრა მხოლოდ. გამწარდა ტახი. გამოქანდა. ბებერ პანტას შეასკდა ეშვებით...

შეშაჯამმა აღამ ყეღირას სახლისკენ გაიხედა — კვამლი დაინახა. ერთიანად სველი იყო. კარგი იქნება, თუ ცოტას შევშრებო, გაიფიქრა.

ხოლო სანამ კოჭლი ალა ყეღირას სახლისკენ მიაბიჯებდა, ყეღირა მშვიდი, თამბაქოს წვევისაგან ჩახლეჩილი ხმით ეუბნებოდა ჰემიდს. — ხე საოცარი რამაა, თუ დანას იმორჩილებ. ყველას ჰგონია, რომ ხისაგან არ შეიძლება სიხარულის გამოტლა. მე კი ერთი შემოდგომა და ერთი ზამთარი ვიშრომე, რვა კვერცი თუთუნი დავფუტე და აგერ, ა. მგონი მოვრჩი საქმეს.

მოხუცმა კორძიანი თითი მიუახლოვა ხის გრძელ მერხზე დასკუპებულ კაცუნებს. ძლივს შესამჩნევ

ლილას გამოჰკრა და სასწაული მოხდა — კაცუნები წამოდგნენ, ხელები გაშალეს და ისევ თათბრებით ადგილებზე განლაგდნენ.

ჰემიდს სუნთქვა შეეკრა. ყეღირამ ახლა ჩქარ-ჩქარა გამოჰკრა ლილას და კაცუნები გადაირივნენ.

— რას ცეკვავენ? — იკითხა ბიჭმა.

— ვინ იცის. უხარიათ და ცეკვავენ. — თქვა ბერიკაცმა. ამ დროს პარმალზე ძაღლები აყეფდნენ. წამოდგა, გარეთ გაიხედა.

ოსმან-ალამ სიცივე შემოიტანა სახლში.

— კინალამ დავმარცხდი. — დაიწყო ოსმანმა, როცა ყეღირამ თოფი ჩამოართვა და კედელზე მიაყუდა. — ჩემხელა ეშვები ჰქონდა იმ შეჩვენებულს. ნაკუწ-ნაკუწად მაქცევდა.

— სად მოხდა ეს? — იკითხა ყეღირამ.

— ლელის თავზე, პანტასთან...

ერთმანეთი გაიკითხ-გამოიკითხეს, კუზიან მთაზე გახიზნული საქონელი გაიხსენეს, ბევრი სხვაც თქვეს...

— დახე, რა სათამაშო გქონია! — წამოიძახა ოსმანმა, რომელმაც ახლა შენიშნა მასპინძლის ნახელავი. — მაჩვენე ერთი.

— აჩვენე. — უთხრა ყეღირამ ჰემიდს.

ჰემიდი პირველად ხედავდა აღას, მაგრამ სულ ესმოდა: აღას ტყე, აღას მინდორი, აღას მდინარე, აღას საქონელი, აღას არ ეწყინოს, აღას ვკითხოთ...

ბიჭს დევისტოლა, ყოვლისშემძლე კაცად წარმოედგინა ეს ოსმანი. და ახლა, როცა მის წინ იჯდა დავგაჭული, ფეხმრუდე და ქლალწვერა კაცი, გაუკვირდა, ამ გოგჯს რად სცემენ ასე დიდ პატივსო.

ჰემიდმა უხალისოდ გაუწოდა სათამაშო.

ოსმანმა წაღმა-უკულმა ატრიალა.

— საიშვილბაზო ყოფილა! — თქვა და ლილას თითი გამოჰკრა. კაცუნები ამოძრავდნენ და ამოძრავდა ალაც. ამ ხნის კაცი ბალღივით აცეტდა.

— ჩემი ბაღიშები ამბობდნენ, ყეღირას ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ. არ მჯეროდა. სინდისს გეფიცები, არ მჯეროდა. შენ კი თურმე ოქროს ხელები გქონია. დახე, „ხორონს“ არ ცეკვავენ?!

ჰემიდი ოსმან-აღას ხელში ათამაშებულ ხის კაცუნებს უყურებდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა.





— საოცარი რამაა, — თქვა, ბოლოს, ოსმანმა. — ხის კაცუნების „ხორონი“ არ გამიგონია... ხი, ხი, ხი... რა კარგად მოგიფიქრებია! — თავი ასწია. თვალებში უცნაური შუქი გაუკრთა. — აი, გაუხარდებათ ჩემს ბადიშებს!

ყედირამ მუგუზალი აიღო, ჩიბუხს დაადო და გააბოლა.

→ რამდენი მოგცე? — ჰკითხა ოსმან-ალამ.

— რო არ ვყიდი?!

— შენ კიდევ გააკეთებ. ხეს რა დალევს ჩვენში?!

— გასაყიდად არ გამიკეთებია-მეთქი. — განზე გაიხედა ყედირამ. — ჰემიდს გავუკეთე. მარტოა ბიჭი, გაერთობა.

— ძროხას მოგცემ. — აღტაცებას ვერ ფარავდა ოსმანი.

ყედირამ თავი გააქნია.

— ორ ძროხას გაძლევ!

— რა ვქნა, დიდი ხათრი მაქვს შენი, მაგრამ მაგ ხეში სული ჩავდე. სული როგორ გავყიდიო?

— მაშ, არ გაყიდი? არ გაძლევ. მარა ორი ძროხა ხომ ამოგიყვანდა ფუხარობიდან? წვირეში იხრჩობით. — და ისევ გამოჰკრა თითი ღილაკს.

ყედირამ აცალა. მერე სათამაშო გამოართვა და მუხლებზე დაიღო.

— რა იცის შენმა ბაღმა მაგ სათამაშოს ყადრი. — წყენა ვერ დაფარა ოსმანმა. — ჯერ ჩვილია. გაზრდამდე კიდევ გაუკეთებ. — და უცებ ზარივით წკრიალა ხმით მოჰკრა: — „არმაწყინა“ წყლის საყანეს გაძლევ...

ყედირას წამით წარმოუდგა „არმაწყინა“ წყლის ფერდობი — ნოყბერი, უყი მიწა. დიდი იყო ცდუნება. ყედირა რომ შეეყოვნა, ჰემიდს კიდევ უფრო აუძგერდა გული.

წამით სიჩუმე ჩამოწვა. იგი ყედირას საოცრად შეცვლილმა ხმამ დაარღვია:

— აჰი ვთქვი, სულს ვერ გავყიდი-მეთქი!

— ერთი შენც და შენი სულიც!.. — გაბრაზდა ოსმანი. წამოდგა, აიღო თოფი, გაისწორა ყაბალახი. კართან ძაღლები წკმუტუნით შეხვდნენ.

— მომწყდით აქედან! — დაუყვირა ოსმანმა და ხეობისაკენ დაეშვა.

იმ ღამეს ყედირა ჩვეულებრივზე უფრო გვიან დაწვა. ოხრავდა, ახველებდა... ეგონა, ბიჭს რახანია სძინავსო. მაგრამ თავი მუთაქაზე დადო თუ არა, ჰემიდი შეინძრა.

— იქნებ მიგვეცა, ა?

— შენ კიდევ არ გძინავს? — გაბრაზდა ბიძა.

— სამაგიეროდ ყანა გვექნებოდა.

— იუუჩე! — ყრუდ წამოიძახა ყედირამ და ხველამ კინალამ დაახრჩო.

იმ ღამეს ბიჭს პირველად დაესიზმრა დედა — აკვანს არწევდა და უმღეროდა. ბიჭს ახალწლის მეორე დღე ესიზმრა. ამ დღეს ქათმის ფერხვა იცოდნენ. დედა საქათმესთან მი-

მწილისთვის გავიდა სამხალში, ჰემი-მიდმა დრო იხელთა და ჯორჯოზე მოიკალათა. „ეს რა ჰქენი, კო! — გაუწყრა დედა, — აწი რაღა გვემველება. მოჰო ჩვენს ბუდეზე ჯლომას მიეჩვევა. ხომ დევიფსეთ!..“ მაშინ დედამ ერთ-ორჯერ შემოჰკრა კიდევ უქანალზე. ბიჭს ეს არ ახსოვდა. ახსოვდა დედის სიმღერა, ნაზი, ალერსიანი...

უცებ ჰემიდმა ვილაცის ცხელი



ვიდოდა, კარს გააღებდა, საკენკს მოაბნევედა და იტყოდა: „ჩიჩი, ჩიჩი, დედალაო, ჩიჩი, ჩიჩი, მამალაო, ასი დედალ, ასი მამალ, ასი მისი მოჩხოროზი; ზეით მონაფერები, ქვეით დაღიანებო, ყველა ამას გეხვეწებით, შორს ნუ დაიარებო. ტყეში ხურო, ზღვაში ქვიშა, — ღმერთო, იმდენ ამრავლეო.“ ამ სიტყვების შემდეგ დედა ცარიელ კოთხოს თავზე დაიმხოზდა — ქოჩორა ვარიები გამოვავო. ამ დღეს დედა მინიდან ფეხს არ გაადგამდა — ქათმები შორს წასვლას დაეჩვევიანო. მას საკუთარი ჯორჯო ჰქონდა. ამ ჯორჯოზე მის გარდა არავინ არ უნდა დამჯდარიყო. ერთხელ, როცა დედა

სუნთქვა იგრძნო.

— რა დაგემართა? — ჩაესმა სიბნელეში. ყედირას ხმა იყო. ბიჭმა თვალები გაახილა. სიზმრიდან გამოეკცვა.

— ნენე დამესიზმრა.

— ეს კარგია, — დაყვავებით უთხრა ყედირამ. — მეტი არაფერი დამგესიზმრა?

— კი, ხის კაცუნები.

— ესეც კარგია. — გაუხარდა ყედირას. — მამაშენი კუზიან მთაზე სხვის საქონელს მწყემსავს. მეც სხვის სამსახურში დავგლახდი. შენ კი ბედნიერი უნდა იყო. აბა! ასეა აი!



მომხრობა მეორე

ჰემიდი მაყვლის ბუჩქებთან იდგა — ჩიტებს უსმენდა. გარშემო ტყე შრიალებდა. ტყე მაღალი იყო. მის ფეხებთან რუ მიწანწკარებდა. რუს მყარლი სუნი ასლიოდა და რასაც ეკარებოდა, ყვითლად ან ყანვისფრად ღებავდა, ამიტომ არ უყვარდა ეს რუ. მოხუცი ყედირა კი, პირიქით, საათობით კბოდესთან იჯდა, ფეხები წყალში ჩაეყო და ღილინებდა.

აქედან, ამ ვაკეზურგიან გორაკიდან, ერთი ხელის დადება იყო სოფლამდე. ნიავი სოფლისაკენ ქროდა. ჰემიდი ხეთა წვეროკინების რხევით ხვდებოდა ამას.

— ეპეპეპი! — დაიძახა ბიჭმა და ნიავს დაედევნა, რომელიც მაჩიტელას არხვედა, ტრიასკუდას თელავდა, ქრისტესბეჭედას ეფერებოდა, ბაბუაწვერა ხომ სულ გადარია! აი, რა ცელქი ნიავი იყო.

კატაბალახას ტევრში ღალღამ გაიტიხტინა. ღალღის ხმას ბიჭი ათასი ფრინველის ხმაში გამოარჩევდა. მოიხედა. ხელმარცხნივ, ხეობაში, მდინარე შხუოდა. მდინარის გაღმა ნაპირი ერთიანად მოტიტვლებული ჩანდა. გამოღმა ნაპირი კი ბუჩქებს დაეფარა. იქ, სადაც ბუჩქნარი თავდებოდა და ლიტად აყრილი ხეები იდგნენ, ოსმან-აღას ყანები იწყებოდა. იმ წელს, როცა ჰემიდს დედა მოუყვდა და მამასთან ერთად მოხუც ყედირასთან გადავიდა საცხოვრებლად, ოსმან-აღა ქალაქიდან ამოვიდა და თქვა: „მთას ხედავთ? მთა ჩემია, ძიავ! ტყეს ხედავთ? ტყე ჩემია, ძიავ! მდინარის პირზეც მხოლოდ ჩემი ყანა უნდა იყოს... თებზის დაჭერა არავინ გაბედოს... თებზი, მდინარესთან ერთად, მე მეკუთვინის!“

მეზობლებმა გაოცებით შეხედეს ფეხმრუდე აღას. ეგონათ ხუმრობსო.

— ასეა, — თქვა ოსმანმა, — ეს ყველაფერი ქალაქში ვიყიდე. უფროსობის მუხურიც იქ მომცეს.

მას შემდეგ ოსმან-აღას ბიჭები ემარეპარეს დაეპატრონენ.

შემოდგომაზე ჰემიდმა პირველად გამოიტანა თოფი, კუნძზე შემოდოდა და ტყისაკენ გაისროლა. ფოთლები დაცხრილა მხოლოდ.

ყედირამ უთხრა:

— აღრეა შენთვის. ბაღვის თოფი ჩილიკა ჯოხია.

ჰემიდმა ისევ მოიპარა თოფი და ყანის ბოლოს კურდღელი მოკლა.

ყედირა შეშინდა, მაგრამ მაინც ისხურა:

— ეს, იცი, ვისი ყანაა?

— ვიცი, ოსმან-აღასია, — უპასუხა ბიჭმა.

— მაშასადამე, კურდღელიც ყანის პატრონისაა. ნანადირევი გავუზავნოთ.

ბიჭმა თვლები მოჭუტა და ბერიკაცს გაუღიმა.

— მოდი, გავუზავნოთ, — თქვა ბიჭმა, — ოლონდ, როცა მეორეს მოვკლავ, მაშინ...

„ღიდი იშკილბაზი ვინმე იზრდება ეს ბაღვი!“ — დაასკვნა ყედირამ...

ოსმან ალა მეორედ წავიდა ქალაქში.

სოფლებმა იფიქრეს — თუ წინა ჩასვლაზე ეს კუთხე იყიდა, ახლა გოდერძის უღელტეხილამდე მიუწვდება ხელიო.

მაგრამ ოსმან-აღა მოტეხილი დაბრუნდა ქალაქიდან.

— წახდა ქვეყანა, — თქვა, — ღარიბები მდიდრებს ეომებიან. ხალხი აირია, უფროს-უმცროსობა დაიკარგა.

— კარგი ომი ყოფილა, — კმაყოფილებით დაასკვნა ყედირამ. — მაგრამ უფრო უკეთესი იქნება, აქამდე რომ მოაღწევდეს.

— ვერ მოაღწევს, — ცივად მოუტრა აღამ. — გზები არა გვაქვს, ბილიკები... მალე დათოვს კიდეც.

ასე ამბობდა გულის გასამაგრებლად, თორემ შიშით შეპყრობილი თვალს არ სწყყვტდა ზეობას...

მაგრამ „ომი“ სულ სხვა მხრიდან მოვიდა.

ღილით, როცა ჰემიდი სხაპის დასაგებად ჩავიდა ხევში, ღიდი თოვლი დატყეპნილი დახვდა.

მთელი სოფელი ერთად რომ შეყრილიყო და ხეობაში გაევილო, ამდენ ნაკვალევს მაინც ვერ დაამჩნევდა. აი, რამ გააკვირვა ბიჭი.

„მოხუცი ყედირა ყველას უყვარდა. მთაზე წავიდოდა — მთა იყო მისი მეგობარი, ტყეში წავიდოდა — ტყე იყო მისი მეგობარი, მდინარესთან მივიდოდა — მდინარე მხოლოდ ყედირასთვის გასაგებ ენაზე იწყებდა შხუილს. ყედირა ჩიტებსაც უყვარდათ. თოვლში მხოლოდ მისი სახლის პარმაღზე პოულობდნენ საკენკს. ჩამწკრივდებოდნენ ნაღის

ლარტყაზე და ღილით სატყეველად დე ხალისიანად ეივებდნენ.

იმ დღეს, როცა ბიჭი ხეობიდან დაბრუნდა, პარმაღზე ყედირა იდგა.

— სტუმრები გვეწვივნენ, — უთხრა ბიჭს.

ბიჭს გაუკვირდა — მათ პატარა სახლში ტევა არ იყო. ტევა არ იყო სახლის გვერდით საბძელშიც. უცხო ადამიანები ისხდნენ ცეცხლთან და მდიანად შეექცეოდნენ ცხვრის ხორცს.

— შენია? — ჰკითხეს ყედირას, როცა ჰემიდი დაინახეს.

— ძმისშვილის ვაჟია.

— ძმისშვილი სადღაა?

— მთაშია, საქონელს უვლის.

— კარგად ცხოვრობთ, — თქვა ჯმუხმა კაცმა. — ბევრი საქონელი გყავთ?

— ეპ, — ამოიოხრა ყედირამ, — სხვის ჯოგს მწყემსავს.

— კარგი ბიჭი ჩანს. მეც მყავს ამოდენა ბიჭი, მაგრამ შორს არიან ჩემები, ძალიან შორს, — გაიხსენა ოჯახი ჯმუხმა.

— მაინც? — შეეკითხა ყედირა.

— ამ მთებს იქით მინდვრებია, მერე მთებია, მერე...

— რა გქვია, ბიჭიო? — იკითხა შორეულმა სტუმარმა.

— ჰემიდი. შენა?

— ქრისტეფორე, დუღკა. უკრინელი ვარ.

— უცნაური სახელი გქონია, — ჩილაპარაკა ჰემიდმა და დუღკას ქულზე მიმაგრებული ვარსკვლავი შეათვალიერა.

— როცა გაიზრდები, შენც გექნება ასეთი ვარსკვლავი.

ბიჭს გაუხარდა და დუღკას გვერდით მიუჯდა. სტუმრები მღეროდნენ. ბიჭმა კურები დაიკო.

— რატომ შევები ამას? — ჰკითხა დუღკამ.

— ძალზე ხმამალა მღერით.

სტუმრებმა გაიცინეს. მერე რამდენი არ ეცადნენ ხმადებლა ემღერათ, არაფერი გამოუვიდათ.

— გადაეჩვივნენ სიმღერას, თქვა დუღკამ. — მაშ რა იქნება, სულ ომობენ და ომობენ!

...ღილით ჰემიდი ნაჯახის ხმამ გააღვიძა. კარი გამოაღო და გაიჭვრიტა. ოსმან-აღას ხეები მიწაზე ეყარა.

— რატომ მოჭრეს? — იკითხა ბიჭმა.



საქონლის საგლეჯობა

რამაზ ბარაკალია

ეს გაუმარჯოს
ჩვენს მზიან მამულს,
ამ ზვრებს, ვენახებს,
ბაღებს და ყანებს;
ეს გაუმარჯოს სიმწვანეს მიწის,
სიყვარულს, ლურჯ ცას,
სითბოს და ალერსს.

ეს გაუმარჯოს
ქვეყნად სიციცხლეს,
ახლის ძიებას,
ქროლვას, შენებას,
თებერვალს —
დიდი ოქტომბრის პირშობი,
ამონათებულ ბედნიერებას.

დიდება ჩვენს მთებს,
კლდეებს, მყინვარებს,
ლურჯ მდინარეებს,
ტყეებს, ველ-მინდვრებს.
ეს სადღეგრძელო იყოს მშვიდობის,
მაისს მამულის ერქვას მემკვიდრე.

ეს გაუმარჯოს ჩვენს დიად წარსულს,
მიწას, დევგმირთა მადლიან მშობელს,
მიწას, არწივთა სისხლით
მოკირწყულულს,
და საოცარი მითების მთხრობელს.

— სახლი უნდა აგვიშენონ, —
თქვა ყედირამ, — მაღალ სახლში
უნდა იცხოვროთ, მზე უნდა დაიამ-
ხანაგოთო.

...ოსმან-ალა ერთი თვის შემდეგ
გამოჩნდა სოფელში. უკვე იცოდა:
ჯარისკაცებმა სახლი აუშენეს მო-
ხუც ყედირას.

— ქალაქურად ცხოვრობ. — თქვა,
როცა ყედირას თეთრი სახლი ნა-
ხა. — მაგიდაც გქონია. გრძელი სკა-
მიც, სკამზე ჯდომა თუ იცი, ყედი-
რა?

მოხუცმა არაფერი უპასუხა.

— ჩემი ტყე გაგიჩანაგებია, —
ვანაგრძობ ოსმანმა, — ცოდვა და-
ვიდვია.

...იმ გაზაფხულზე ჰემიდის მამა
ალარ წასულა მთაში.

— გვეყოფა, რაც შენი საქონელი
ვმწყემსეთ, — უთხრა მამულამ
ალას. — აწი ჩვენს თავს უნდა მიე-
ხედოთ...

ერთ ღამეს ყედირას თეთრ სახლს

ცეცხლი გაუჩნდა. ალი ცას სწვდე-
ბოდა. ჯერ ერთი კედელი ჩამოინგ-
რა, მერე — მეორე.

მთელი სოფელი მოგროვდა. ყე-
დირა ფეხშიშველა იდგა. ჰემიდის-
თვის ჩაველო ხელი და კანკალებდა.

— ვიცი, ვინც იზამდა ამას, —
თქვა მამამ.

— ჩვენც ვიცით, — თქვეს სოფ-
ლელებმა.

თოფებითა და კეტებით გაემართ-
ნენ ოსმან-ალას სახლისაკენ: იქ არა-
ვინ დახვდათ — ალა შვილებიანად
გაქცეულიყო.

ერთი კვირა ეძებეს. მეორე კვი-
რაც, მერე კი მამამ თქვა:

— არა უშავს, უკეთეს სახლს
ავაშენებთ!

მოთხრობა მისამი

შვიდი წლის შემდეგ სოფელში
გეოლოგები ამოვიდნენ.

— რას ეძებთ? — ჰკითხა ყედი-
რამ.

— მადანს.

— მადანი რაღა ეშმაკია?

— ოქროა. ვერცხლია. რკინაა.

ერთი სიტყვით, მიწის სიმდიდრეა.

— ოქრო-ვერცხლს რა უნდა
ჩვენს მიწაზე! — გაიკვირვა ყედი-
რამ. — რაც სიმდიდრე გვქონდა,
ოსმან-ალამ წაიღო.

გეოლოგებმა გაიცინეს.

მათ შორის ერთი ქალი ერია.
ახალგაზრდა იყო. მოკლედ შეკრეჭი-
ლი თმა ძლივს უჩანდა ხილაბანდი-
დან. მასაც სხვებივით ზურგანთა
ჰქონდა მოკიდებული.

ერთადერთი თვალით ჩაშტერებით
შეათვალიერა ბერიკაცმა ქალი-
შვილი.

გეოლოგებმა ერთმანეთს გადახე-
დეს.

— უჩადროდ რომ არის, ამან ვა-
გაოცა?

— ქალს რად უნდა ჩადრი, —
იშოვა სალაპარაკო ყედირამ, — ლა-
მაზისათვის ჩადრი იგივეა, რაც ჩე-
მი თვალისთვის ლიბრი. ქალი პირ-
ნათელი უნდა იყოს, მზეს უღიმო-
დეს...

გეოლოგებს ყბედი ეგონათ გზად
შეხვედრილი ბერიკაცი. აჩქარდნენ.

— სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს
ვეძებთ, იქნებ გვასწავლოთ მისი
სახლი?

— ეგრე გეთქვათ თავიდან, —
უფრო გახალისდა ყედირა, — ჩემს
მამისშვილს ეძებთ თურმე. აი, ამ

ღამაზე სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

ლამაზ სახლში ცხოვრობდა

მოთხრობა მეოთხე

ჰემიდმა კუზიანი მთისაკენ აიღო
გეზი. იქ მისი სოფლის კოლმეურნე-
ობის საქონელია დაბინავებული.

მუხლი მაგარი აქვს, მკლავი ძლი-
ერი, თვალი მახვილი. თუ ნადირი
გამოუხტა, ტყვიას არ ააცდენს.

ადამიანის ნაფეხურებს მოჰკრა
თვალი. დაუკვირდა — ადამიანი
ტყიდან გამოსულა და ისევ ტყისა-
კენ გაბრუნებულა.

„დაღლილი, დასუსტებული კაცის
ნაკვალევი — სვენებ-სვენებით მი-
დის...“

ნაკვალევს გაჰყვა. „ნეტავ ვინ უნ-
და იყოს? იქნებ ისიც კუზიანი მთი-
საკენ მიდის?“

ჰემიდი სწრაფად მიაბიჯებდა. მზე
საშუადღეოზე იდგა, როცა ბერიკა-
ცი დაინახა. ხის ქვეშ იწვა. სახე ყა-



ბლახით დაეფარა. მიუახლოვდა. მი-
აყურადა. ბერიკაცს თავქვეშ თოფი
ამოეღო და მშვილად ფშვინავდა.
ფეხის ხმაზე კი გაიღვიძა. წამოვარ-
და, თოფი მოიმარჯვა.

— სალამი ეფენდი! — უთხრა
ჰემიდმა.

— სალაური ხარ? — წარბშეკე-
რით ჰკითხა ბერიკაცმა ისე, რომ
თოფი არ დაუშვია.

— სალაური ვიქნები. — გაიღმა



ჰემიდმა, — აქაური ვარ, მდინარის
გალმელი.

— მდინარისგალმელ დელიყანდ-
თან* არ დავჯდები. იქაური ყველა
მეზიზღება, წადი *აქედან!

— რატომ უნდა წავიდე? — გა-
ოცდა ჰემიდი, — მე თქვენს ჭალა-
რას ვცემ პატივს და ცუდს არას გა-
კადრებთ...

— კარგი, იყავი. მაგრამ იცოდე,
რომ სხვის მიწაზე დგახარ.

— როგორ, ეფენდი?

— ჩემს მიწაზე დგახარ-მეთქი.
ჩემს მიწას ტყეპნი.

— უყურე შენ! — ლომილით წა-
მოიძახა ჰემიდმა.

უცნობმა იგრძნო ჰემიდის დამ-
ცინავი მზერა. შეიშმუშნა.

— შორიდან მოვდივარ, ძიავ, —
თქვა გაბზარული ხმით. — დიდი ხა-
ნია მოვდივარ, რას იზამ, ყველას
მშობლიურ მხარეში უნდა სიკვდი-
ლი!

ბერიკაცი ხის გამოშვებულ ფესვ-
ზე დაჯდა, თოფი მუხლებზე დაიდო.

— გამოდის, რომ სასიკვდილოდ
ემზადებით!

— ასეა. — კვერი დაუკრა ბერი-
კაცმა. — დიდი ღლე აღარ დამრჩე-
ნია. ეს ადგილები ჩემია და აქ ვაპი-
რებ იმ ქვეყნად წასვლას...

— რა დროს თქვენი სიკვდილია!
აი, მამაჩემის ბიძა ოთხმოცდარვა
წლის გახდა ამ გაზაფხულზე. კიდევ
ოთხმოცი უნდა ვიცხოვრო, ამბობს.

— მე კი სიცოცხლე მომბეზრდა.
სხვის მიწაზე წანწალი მომბეზრდა.
ამიტომ მოვედი.

ბიჭმა გაიღმა.

— ჩვენს ადგილებში სიკვდილი
ძნელია. პირიქით, აქ სიცოცხლის
გასახანგრძლივებლად მოდიან...

— მე აქ სიცოცხლე არ გამი-
ხანგრძლივდება, რადგან მტერი ვარ
შეურიგებელი. ალბათ, შენი მტე-
რიც ვარ.

— ჩემი?! — გაიკვირვა ჰემიდმა.

— რატომ უნდა იყოთ ჩემი მტერი?

— შორი ამბავია.

— თქვენს სახელს ხომ არ მეტყ-
ვით, ეფენდი?

— თვითონ არ ვიცი, რა მქვია. —
ქლალ წვერზე ხელი ჩამოისვა ბერი-
კაცმა. — მქონდა სახელი, მარა და-

მავიწყდა, ნუ გეშინია, მართლა მტერი
არა როდი ვარ. მეც შენსავე მდინარის
ნარის გაღმა დავიბადე. მერე შორს
წავედი. ახლა ისევ ჩემს მიწაზე დავ-
ბრუნდი. მაგრამ ვაი, რომ ჩემს მიწა-
ზე ქურდივით დავდივარ.

ჰემიდმა უყურა, უსმინა და უცებ
გული შეეკუმშა: იცნო ბერიკაცი.
ხანძარი გაახსენდა, თორმეტი წლის
წინათ აგიზგიზებული ხანძარი...

— წელან კინალამ მოგაკალი, —
თქვა ბერიკაცმა, — მაგრამ სწრა-
ფად დავფიშმანდი — იცოცხლოს-
ნეთქი. რა ჰქვია მამაშენს?

— მამული.

— მწყემსი მამული? — წამოიძა-
ხა აღამ და ერთბაშად აენტო. თო-
ფი შემართა. — გამშორდი! წადი
და ხშირად მოიხედე უკან — იქნებ
შემეცოდო და არ გესროლო.

— თუ სროლა გინდა, ახლა მეს-
როლე... — მთელი სხეული უზუ-
ოდა ჰემიდს. რა იყო ეს? შიში თუ
შეურაცხყოფით გამოწვეული ქრეო-
ლა? წამოდგა, წავიდა და დათვის-
თავა კლდეს რომ გაუსწორდა, თა-
ვი მოაბრუნა. ბერიკაცი თოფმომარ-
ჯვებული იდგა, უმიზნებდა.

„მაშინებს“, — გაუელვა ჰემიდს.

— უნდა მოგკლა. თავი დაიცივი!

— მე კი შენი სიკვდილი არ მინ-
და. გქონდეს ეს მიწა, ვინ გართმევს?

— შენ მართმევ, შენ! — წამოიძა-
ხა ბერიკაცმა და თოფი ისე შემარ-
თა, რომ ჰემიდი მიხვდა — მესერი-
სო. მიწაზე დაწოლა მოასწრო. ტყვი-
ამ ყურთან გაუზუზუნა.

ჰემიდმა კი ჰაერში გაისროლა და
ბუჩქებისაკენ გაბობღდა. მტრის
ტყვიამ ისევ გაიწვილა... აი, ბუჩქე-
ბიც. აქედან ალა ველარ დანახავს
ჰემიდს. ახლა მთავარია, წყარომდე
მიადწვიოს... თუ ეს შესძლო, მერე
ზურგიდან მოუვლის... მიხობავდა
მიწას გაკრული. ლოყაზე ტკივილი
იგრძნო. როცა ხელი მოისვა, წით-
ლად შეეღება — ტყვიას გაეკაწრა.
იმ წამს გაახსენდა ბავშვობისდრო-
ინდელი სიმღერა. ჩუმი სიმღერა,
შურისგებითა და მრისხანებით აღ-
სავსე. მაგრამ ცა იყო მოწმე, ჰე-
მიდს არ უფიქრია იარაღი ეხმარა.
უნდოდა ბერიკაცი ცოცხალი შეეპყ-
რო. ის იყო და ის.

* დელიყანი — ახლაგზრდა.

ახლა


რომ

თოთხმეჯი

წლისა

ვიყო

გიორგი
გველუაშვილის
ვატიკანში
ამთავრებულ
იტალიის
ბიენალე.



— კეთილმა ადამიანებმა გამიადვილეს ცხოვრებაში გზის გაკვლევა, — ასე დაიწყო საუბარი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატმა, ლენინის ორდენის კავალერმა, კომუნისტური შრომის დამკვირვებმა ზურაბ გველუაშვილმა. — ამის დასამტკიცებლად თბრობა შორიდან უნდა დავიწყო.

დავიბადე გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში. მამა რომ ომში წავიდა, შვილი წლისა ვხდებოდი.

პირველი შვილი ვიყავი და ყველა საუფროსო და საკაცო საქმე ერთბაშად დამაწვა მხრებზე.

წყალი შორსა გვექონდა, კილო პურისათვის ყოველდღე რაიონში მივდიოდი. შეშა მე უნდა მომეჭრა და ურმით ჩამომეტანა. თუ ურემს ვერ ვიშოვიდი, ფიჩხის კონები ზურგით მომქონდა... ტყეში უთენია მივდიოდი. თუ მეზობლის ბიჭებიც მოდიოდნენ, ხომ კარგი, მაგრამ უფრო ხშირად მარტო მიხდებოდა სიარული.

სახლიდან რომ გამოვდიოდი, ჯერ ისევ ბნელოდა. ის-ის იყო, ფერმკრთალდებოდნენ ვარსკვლავები. სანამ ჩვენს უბანში მივდიოდი, ყოჩაღად მივაბიჭებდი, მერე კი მართლა ამეშინოდა: ძირს დავდებულ

კეთილი სიტუაციის უკასი

კუნძი მგელი მეგონა, ჩამოცვნილი ხმელი ფოთლების შარიშურზე ლამის გული ამომგარდნოდა, ტყეში კოტის კვილი მზარავდა. ამასობაში, ქალამანიც მისველდებოდა და ფეხები მაზრებოდა, მთელი ტანით ვძაგძაგებდი. მეტირებოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი — წარმოვიდგენდი, ვითომ მეც მამაჩემვით ომში ვიყავი და, შეშაზე კი არა, აუცილებელი

დავლებით ვიყავი გაგზავნილი.

ამის გაფიქრება მშველდა. მერე მამა გამახსენდებოდა, წასვლისას ცალკე რომ გამიზმო და „აბა შენ იცი, შვილო, ოჯახს შენს იმედად ვტოვებო“, — მითხრა.

ოჯახი კი დიდი გვექონდა: დედაჩემი, თოთო დები და სამი თვის ძუძუმწოვარა ძმა.

დედა კოლმეურნეობაში მუშაობდა. შეშას რომ ჩამოვიტანდი და ბუნხარს დავანთებდი, აკვანში ჩაკრული ძმისთვის უნდა მიმეხედა.

ასე მილიოდა ჩემი ბავშვობის წლები. მაინც ასაკს თავისი გაჰქონდა, შურდულით ხან გულწითელას დავსდევდი, ხან მაჩვს ხაფანგს ვუგებდი. ჩემი ბავშვობა მაშინ დამთავრდა, როცა ქერჩიდან მამის დალუპვის ცნობა მოგვივიდა...

ამასობაში წამოვიზარდე და სახელოსნო სასწავლებელში გამომგზავნეს. 14 წლისა ვიყავი. მე-6 სახელოსნო სასწავლებელში ჩემი პირველი ოსტატი სულიკო სულხანიშვილი იყო. სწორედ ის გახდა ჩემი კეთილი მრჩეველი, თვალი ამიხილა ავსა და კარგზე... ხელობას ხომ გვასწავლიდა და გვასწავლიდა, არჩეული გზის ერთგულებასაც გვიწერავდა. ბიჭებს ერთი ამოჩემებუ-

ლი ადგილი გვექონდა, „ბირჟას“ ვე-
ძახდით. გვიყვარდა იქ თავმოყრა.
ოსტატმა იმდენი ჰქნა, რომ სიტყ-
ვა „ბირჟაც“ კი დაგვაფიქვებინა.
დიდი ხათრი გვექონდა პატივცემულ
სულიკოსი. მისი სიტყვა ჩვენთვის
კანონი იყო. სიჭაბუკეში შეე-
დიოდით, უკვე ვგრძობდით კე-
თილი რჩევის, კეთილი სიტყვისა და
საქმის ფასს.

კიდევ ერთი სიკეთე მახსოვს ნათ-
ლად... რამდენიმე ბიჭი დაძრულ
ტრამვაის შევახტით ხმაურით და...
მილიციაში ამოვყავით თავი.

ჩვენი სასწავლებლის დირექტო-
რი, მიხეილ თავბერიძე, აღშფოთდა.
არ ვიცი, გვაშინებდა თუ მართლა
გვეუბნებოდა: ხვალვე გაიტანეთ
საბუთები, ჩემმა თვალებმა აქ არ
დავგინახოთ, ხულიგნები არ გვეჭირ-
დებოთ.

მაშინ წამოდგა ერთ-ერთი თანამ-
შრომელი, გოგი ჭიჭინაძე, და თქვა:
— ეს ერთი შეცდომაა აპატიეთ,
თავდებობას მე ვკისრულობ. თუ მო-
მავალში კიდევ რაიმე ცუდს ჩაი-
დენს ზურაბი, მე დამსაჯეთ.

ამ გამოსარჩლებამ დიდად იმოქ-
მედა: დამაფიქრა სიკეთეზე, მოვა-
ლეობის გრძნობაზე და გადავწყვი-
ტე არსად და არასოდეს არ შემერ-
ცხვინა ჩემი მოსარჩლე. დღემდე
პირნათელი ვარ ჩემი სინდისის წი-
ნაზე.

1950 წლიდან ქარხანაში ვმუშაობ
და უბრალო საყვედურიც კი არ მი-
მილია... იმ დღიდან ვიწამე, რომ
ნდობა და სიკეთე, თუ კი მას დრო-
ზე დათესს აღმზრდელი მოზარდის
სულში, უსათუოდ გალივდება და
კარგ ნაყოფს გამოიღებს. ამაში ჩე-
მი მუშაობითაც დავრწმუნდი.

ზურიკო ჯათარიძე კიათურიდან
ჩამოვიდა ინსტიტუტში გამოცდების
ჩასაბარებლად. კონკურსში ვერ გა-
ვიდა. გულგატეხილი ბიჭი ჩემთან
მოიყვანეს.

ბრიგადის წევრებმა ჰაბუკი განსა-
კუთრებული ყურადღებით გარეე-
მოსეთ. იგი შესანიშნავად დაეუფლა
ხელობას და ახლაც კიროვის სახე-
ლობის ქარხანაში მუშაობს.

ერთ-ერთი ჩემი შეგირდი — ელ-
გუჯა ტავლალაშვილი ახლა ჩვენი
უბნის უფროსია. გამიხარდება, ჩემ-
ზე რომ იტყვის: ჩემი პირველი ოს-
ტატი აო.

რომელი ერთი ჩამოვთვალო. ჩემი
სოფლიდანაც ბევრი ჩამოვიდა ჩვენს
ქარხანაში. მათ შორის ჩემი უმცრო-
სი ძმაც იყო. ახლა ყველანი საუკე-
თესო მუშები არიან.

რომელი ბავშვობისდროინდელი

ოცნება დამრჩა განუხორციელე-
ბელი? სწავლა. აი, ამაზე მწყდება
გული... მინდოდა საშუალო დამემ-
თავრებინა, მაგრამ სახელოსნო სას-
წავლებლის შემდეგ ჯარში გამიწ-
ვიეს, მერე ოჯახს დასჭირდა ჩემი
ხელი. მერე თვითონ მოვეკიდე
ოჯახს და შვილებზე ზრუნვამ ყვე-
ლა სხვა საზრუნავი დაჩრდილა.

ჩემი ბრიგადა რესპუბლიკაში პირ-
ველი კომუნისტური შრომის ბრი-
გადა იყო. ჩვენი ბიჭები მარჯვე მუ-

შები არიან და მერვე ხუთწლედში
მეცხრე ხუთწლედის გეგმაც შევს-
რულეთ. ვარ რაიონული საბჭოს დე-
პუტატი და რაიადმასკომის წევრი.

— თოთხმეტი წლისა რომ ვიყო?
ისევ ამ გზას ავირჩევდი. მშრო-
მელი კაცის ალალი ლუკმა უგემრი-
ელესია... თანაც უსათუოდ ვისწავ-
ლიდი.

საუბარი ჩაიწერა

ნარკიზა მგელაძე.


ფოტო ბ. კობორაშვილისა.



ცნობილი ხარაბი დაუზარებლად ეხმარება თავის შეგირ-
დას კროფსინის დაუფლებაში.



ნოღარ შამანაჲ



მხატვარი
ზურაბ შამანიაშვილი.

მოთხრობა*

დიომამ თხრილს კიდეც მიადწია და ზედ მიწაყრილზე მოადინა ზღარ-თანნი. „ალმიანმა“ მიირბინა, პირ-ქვეჩამხობილი გადმოაბრუნა, მერე სწრაფად ხელი დასტაცა და ხეურას-კენ გაიქცა. მე და აჩიკო ცოტა მო-შორებით მივყვებოდით და მის მკლავზე გადაკიდებულ დიომას და-ზაფრული შევყურებდით. „ალმიან-მა“ დიომა ხეურას ნაპირზე დააწვი-ნა, მერე სახეზე წყალი ასხურა, სა-ყელო გაუხსნა, მკერდი და ყურები დაუზილა.

მებრძოლთა ვაშამ და ყიეინამ იმატა. „ფრონტს“ ჩემდაუნებურად გაეხტა. გორაკის ძირში უკვე წი-თელი დროშა ფრიალებდა.

თითქოს მემომართა ყიეინამ გამო-აღვიძაო, დიომამ თვალი ივაახილა და თავი იქითკენ მიაბრუნა, საიდა-ნაც ხმაური ისმოდა.

დიომა ექიმთან
ვაიხვანას

შინისაკენ მივდიოდით მაგრამ, ვაი ისეთ წამოსვლას!.. აჩიკო უხმოდ ტიროდა, მე კი ხმამაღლა ვზღუქუ-ნებდი. მოვდიოდით ყანა-ყანა, ვე-ნახ-ვენახ... წინ აჩიკო მოაბიჯებდა, მე კი შორიანლოს მივყვებოდი.

აჩიკო უცებ შეჩერდა, მომიტრი-აღდა და თვითონ ვითომდა ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნოდეს, ისე შემომიტია:

— ნუ ღრიალებ!

— დიომა ცოდვას!.. — გავაბი ტი-რილით.

— მერედა შენი ცრემლი უშვე-ლის?! — მითხრა ვაჟკაცური კილო-თი და მცირე ხნის შემდეგ დაუმა-ტა: — დიომა საავადმყოფოში იქ-ნება უკვე, ექიმი ხელად მოარჩენს!

აჩიკოს იმედიანმა სიტყვამ გა-მამხნევა.

...მტერი კავკასიონს რომ მოუახ-ლოვდა, ჩვენს რაიონში სახალხო რაზმელთა ბატალიონი ჩამოყალიბ-და. ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ყველა აღრიცხეს და განსაზღვრულ დღეებში წვრთნიდნენ. ბატალიონში ერთხანს პაპაჩემიც ითვლებოდა. საფრთხემ გაიარა და ჩვენმა არმიამ მომხდურები კავკასიონის მთებიდან უკუაგდო. ბერიკაცები სიდიან ამო-შალეს: ჯერჯერობით საჭირო აღარ ხართო. სხვებს კი ისევ ჩვეულებ-რივ ავარჯიშებდნენ. სახალხო რაზ-მელთა ერთ-ერთ ასეთ წვრთნას წა-ვადექით ჩვენ სწორედ ხეურას სანა-პიროზე.

— კიდეც კარგი, ლადომ რომ გვიცნო. — ვთქვი მე.

ლადო ფარსაგიძე ჩვენი სასოფ-ლო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ხეურას „ფრონტს“ გორაკიდან რომ ვუყურებდით, ყველა „მებრძო-ლი“ უცბო და უცნობი გვეგონა. დი-ომას მოსულიერებისთანავე „ალმი-ანი“ მეთაურთან გაიქცა და რალაც უთხრა. მეთაური აჩქარებით გამო-ეშურა ჩვენკენ, მას სხვებით მოჰყ-ვნენ. დიომა ზაფრანასავით იყო გაყ-ვითლებული და თვალებს უაზროდ აცეცებდა. მეთაურმა ლოყაზე ხელი მოუთათუნა და მერე „ალმიანს“ გაბრაზებით მიუბრუნდა.

— პასუხს შენ აგებ, იცოდე!

„ალმიანი“ გაშემებული იდგა, დიომაზე უკეთესი ფერი არც მას ედო.

— აქ რა ეშმაკმა მოგიყვანათ, თქვე ციგნებო! — მომესმა უკანი-დან. მივიხედე და ლადო შემრჩა ხელში, აჩიკოს უყვიროდა.

— ალბათ საბანაოდ ჩამოცუნ-ცულდნენ. რა ქნან, ხომ გამოგიცდი-ათ ბავშვობა?! — გამოვევსარჩლა ნაცნობი ხმა. დავაკვირდი და სინა-რულით კინალამ შევყვირე: „ნაცნო-ბი ხმა“ ჩვენი კოლმეურნეობის მო-ანგარიში აღმოჩნდა. თავზე ჩაპაევის

ქული ჩამოეფხატა, ვეცა, ჩექმები ჩაეცვა და გახუნებულ სალატზე ფართო ქაპარი შემოესალტა. ნაც-ნობი მხოლოდ ხმა შემორჩინოდა, სხვა მხრივ სულ გადასხვაფერებუ-ლიყო.

— იცნობთ? — იკითხა მეთაურმა.

— თანასოფლელები არიან, მამა ფრონტზე ჰყავთ. — უპასუხა ლა-დომ და მე და აჩიკოს გადმოგვხე-და. მერე დიომას ვინაობაც გააცნო.

დიომას თავგადასავალმა იმოქმე-და თუ რა იყო, მეთაური უეცრად მოლბა, პრისხანედ შეკრული წარ-ბები გახსნა და ძმებს გადმოგვხედა:

— გაიქციეთ და პაპაჩემს უთხა-რით, შენი შვილობილი ექიმთან წა-იყვანეს-თქო. ოღონდ არ შეაშინოთ მოხუცი!

ის იყო გამოვიქციეთ, რომ ლა-დომ შეგვაჩერა. მეთაურს უთხრა: წავალ და მე ვეტყვი ხარებას, ვა-ითუ ბალებმა ეს ამბავი გულზე ხეპრედ მიახლონ და ცოდვააო.

დიომა ერთ ძველ, კაბახანა მანქა-ნაში ჩასვეს და წააჯაყაყაყეს.

— წწუ! წწუ! — თავი გადაიქნია აჩიკომ და სინანულით ჩაილაპარა-კა: — „ალმიანს“ მაგრად დასჯიან ალბათ!

— რატომ უნდა დასაჯონ, რა მი-სი ბრალია?! —

— რომ არ მიგვტყობა ერთი მაგ-რად და არ დაგვიფრინა, მიტომა მისი ბრალი! — ისეთი კილოთი შე-მომიძახა. თითქოს გატყუების ღირ-სი მხოლოდ მე ვყოფილიყავი.

— როგორ დასჯიან, აჩიკო?

— შეიძლება ნამდვილ ომში უქ-რან თავი!

— ეგ რა დასჯაა, ნამდვილ ომში მამაჩვენიც კია!

— მიტომაცაა კარგად... — ნაღ-ვლიანად ჩაიბუტბუტა აჩიკომ.

— ახლა უკვე კარგად იქნება, მე-სამე ოპერაციას გაუკეთებდნენ და...

— აღარ დავამთავრე სათქმელი. აჩიკომ ერთი-ორჯერ მომხედა. შევა-ტყვე, რალაცის თქმას აპირებდა და ვერ ამბობდა.

— პაპას რომ ენახა, კაი იყო. — წამოვიწყე ისევ მე. — მამა არ გა-დაირეოდა სინარულით?! თვალებზე ხელს მოისვამდა, ხომ არ მეჩვენე-ბაო... — იგვიცინე.

აჩიკომ ბლევრით მომხედა. მეგო-ნა, ჩემმა უადგილო სიცილმა გააბ-რაზა და მიყვირებს-მეთქი, მაგრამ ალერსიანად მითხრა:

— გოჩიტა, რამეს გეტყვი და არა-ვისთან გაამხილო!

— როდის ვიყავი მამბუღარა?! — ვიწყინე!

— არც დედას უთხრა!

— არ ვეტყვი.
 — აბა, დაიფიცე!
 — მამას გეფიცები!
 აჩიკომ ორიოდე ნაბიჯი გადადგა, მერე ისევ შემოტრიალდა და უეცრად მაჯახა:

— პაპა გვატყუებს, გოჩიტა!
 — რას გვატყუებს?
 — საავადმყოფომდე ვერ მივალ-წიო... კი მიალწია, მაგრამ... — აჩიკოს სიტყვა ყელში გაეჩხირა და ხმა ჩაუწყდა.

— პაპა გუშინწინ მამის დარგულ კაკლის ნერგთან იდგა და ბუტბუტებდა: შენი აქ მომტანი და გამხარებელი ვეღარ განახვსო... — აჩიკომ სათქმელს დაბნევით გამოარღვია ძაფი და ხმის კანკალით განაგრძო: — პაპამ მერე თავის ხელებზე დაიხედა. ამ მიწადასაყრელებმა დაგაყარეს რუსეთის ცივი მიწაო, და თავში მარჯვენა შემოირტყა.

— ვისზე ამბობდა? — ვიკითხე დაბნეულად.
 — ვერ ხვდები, შე... — აღარ დაამთავრა აჩიკომ და უცებ ცრემლი წასკდა.

— არ ამბობდა მამაზე! — ვიღრიალე და მიწას ფეხები დავუშინე. — არ ამბობდა მამაზე!.. არ ამბობდა! არ ამბობდააა!

— ვინ გითხრა, მამაზე ამბობდაო?! ბებიანზე ამბობდა... — თქვა აჩიკომ ცრემლის წმენდით.

ამ სიტყვებმა ცოტა დამამშვიდეს. მაგრამ მაინც ვტიროდი. აჩიკო მოვიდა და მხარზე ხელი დამადო:

— ჯერ უნდა გაიგო, რას ვლაპარაკობ და მერე იტირო! შე კაცო, მამაზე როგორ იფიქრე ცუდი რამე?! დედასთან მაინც არ წამოგცდეს...

აჩიკომ ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა. მე სლუტუნით მივყევი. დღეს ისე მივალწივით, ხმა არ ამოვკვილია.

— ნეტა არ წავსულიყავით ხეურაზე! — გვიან-გვიან ამოილაპარაკა აჩიკომ და ამოიხვნეშა: — რა გვეშველება ახლა ჩვენ?!
 — სამი დღის კრავი რომ გადახტება. მზეს იმხელა მანძილილა ჰქონდა გასაგლეღი. სადამოს ნიავს უკვე ფეხი აედგა და ტანაყრილ სიმინდებსა და ბუჩქებში არხეინად დაფაჩუნობდა. მე კი ყურს ისევ აჩიკოს სიტყვები მიბურღავდა: „რა გვეშველება ახლა ჩვენ?“

დენი ვიმაღეთ და ვიძრომიალეთ. სანამ მაგიდასთან მოვალწევდით და შევეფარებოდით! ლელიდან დაკუზულ-დაკუზული წამოვედით და სიმინდის ყანა ისე ამოვიაღმართეთ, კაციშვილმა ვერ მოგვეკრა თვალი. ის იყო ღობეში უნდა გავმძვრალიყავით, რომ შარავზიდან ხმაური მოგვესმა. მიწას დავაკვდით. ჩვენი უბნის ბიჭები იყვნენ, სამწყესურიდან ნახირს მოგვრეკებოდნენ.

როგორც კი შარავზა მიწყნარდა, ღობეში გავძვერით, ჩვენს ეზოს უკანა მხრიდან მოვუარეთ და სახლკარობა დაკვირვებით მივათვალიერმოვათვალიერეთ. ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ალბათ დიომასთან წავიდნენ. — წამჩურჩულა აჩიკომ.

— ო, დედო, ოო... — მოგვესმა ამ დროს საჩეხიდან.

— დედა აგერ არ ყოფილა? — შევცინე ძმას.

— სანამ ძროხას გამოწველოდეს. დამალვა მოვასწროთ, თორემ...

დამალვას ჯერ საბძელში ვაპირებდით, მერე სახლის სხვენი ვამჯობინეთ. სხვენიზე ასვლა მხოლოდ შიგნიდან შეიძლებოდა. დერეფანში რომ შევიპარეთ, აჩიკომ მაგიდის ქვეშ შეიხედა და წამჩურჩულა: სხვენიზე რა გვინდა, აგერ შევეფაროთ, საჭმლის სუნი მაინც გვეცემო...

რამდენიმე წუთის შემდეგ დედა გამოჩნდა, რძით საუსე კარდალა მოჰქონდა.

— ეს ეშმაკვასაქრობები მაინც სად დაიკარგნენ, დამდება უკვე!.. — ჩაილაპარაკა დედამ შეშფოთებით. მერე რძის ჩხრიალი მოგვესმა.

„რძეს წურავს. ნეტა დვრიტას ჩაუკიდებს და ყველს ამოიყვანს, თუ ვახშმისთვის მოადულებს?“ — გავიფიქრე და ტუჩები ავაწყლაუხენე.

— უცხო ბიჭი მანამ ახეტიალეს იქით-აქეთ, სანამ უბედურებას არ გადააკიდეს. ისინი არიან კაციშვილები?! რა სიჩუმეა ეს ოხერი! მტერმა უყურა გამოყრუებულ სახლს. წუხელ ამ დროს აქ ერთი ამბავი ჰქონდათ ბიჭებს. საწყალი დიომა... ნეტა კარვად იქნებოდეს და... ღმერთო, ობლობისგან დაიფარე ჩემი ბიჭები! სხვა ვაჭირვება არაფერია, გაუძლებენ როგორც იქნება. მამიდასთან არიან, ალბათ... — თითქოს ასლოკინებდნენ, დედა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა.

მცირე ხნის შემდეგ გამოვიდა, ოთახის კარი გადაარაზა და აჩქარებით ჩავგვიარა.

— მამიდასთან მიდის. — თქვა აჩიკომ.



— გავიქცევი, მოვებრუნებ. იქნებ არ გავვლახოს?!
 — არა, გულში ჩაგიკრავს, რა კაი ბიჭები ხართო!..

რომ ვიღროვით, დედა უკვე გზა-შარავზე იქნება გასულიო, სამალავიდან გამოვძვერით. დედას ლამპა ჩაექრო. სიბნელეში დავბორილდით და საჭმლის ძებნა დავიწყეთ ხელის ცეცებით. მაგრამ საჭმლის მოძებნა სინათლეშიც ჭირდა და სიბნელეში რას ვიპოვიდით? გვიანლა გავვახსენდა: დედა ნაკვერცხლებს ნაცარი შეახვევდა, მიამიხებდა, მერე ნელ-ნელა გააღვიძებდა. ცეცხლს წამოაკიზინებდა და ლამპასაც აანთებდა ხოლმე. ბუხართან მივედით, ნაცარი ფრთხილად გავქექ-გამოვქექეთ. საიმედოდ შენახულმა ნაკვერცხლებმა იაგუნდის თვლებივით შემოგვეცინეს. როგორც იქნა, ავანთეთ ლამპა. მერე რა, მთელი ოთახი გადავჩხრიკეთ და მჭადის ნამცეცაც კი ვერ ვიპოვეთ.

— ალბათ არ გამოაცხო. ჩვენზე გულმოსულია და მიტომ. — თქვა აჩიკომ და თაროზე დამხობილ ხელებს გაბრაზებით ხელი გაჰკრა. გაჰკრა და მჭადის თეთრმა ყუამ არ შემოგვანათა!

— ბიკოს, აგერ ყოფილა! — შესძახა აჩიკომ და ხელები გადააბრუნა. ორი მჭადი და ერთი პური აღმოჩნდა. მე პურს წვატანე ხელი, მაგრამ ძმამ არ დამანება, დიომას-

საინფორმაციო სახალავში

დერეფანში ვიწეკით, დიდი მაგიდის ქვეშ. წინ პაპაჩემის ახალდაწერილი გოდორი გვექონდა აფარებულ. ქვეშ ძველმანები გვეგო. რამ-



თვისაა შენახულიო. მჭადი წამიტეხა. ცუგა გარშემო გვირბენდა და წყმუტუნით გვიკლებდა, სანამ ორი-ოდე ლუკმა მასაც არ ვარგუნეთ. მჭადის სუნი კატამაც იყრა, მოირბინა კნავილით. ცუგას ფისო ისე დაშინებული ჰყავდა, სხვა დროს სათოფეზე არ ეკარებოდა, ახლა კი მჭადმა შიშით დაუქარგა და როდის, ძალს ლუკმა კინადამ პირიდან გამოსტაცა. აჩიკომ ისიც გაახარა. მერე ცოტა თავისთვისაც მოიტეხა, დანარჩენს ისევ ხელოები დააფარა, ლამაზა ჩააჭრო და მითხრა:

— აბა მალე, თორემ მოგვისწრებს! კარი გადავრახვით და ისევ ჩვენს ბუნაგში გვიკუთვნეთ. ხუთიოდე წუთის შემდეგ ფეხის ხმა შემოგვესმა.

— დედა მოდის. — წაეჩურჩულე აჩიკოს.

პაპა აღმოჩნდა. როგორ ქათმებივით მიბუღრებულანო, ჩაილაპარაკა დერეფანში ფეხის შემოდგმისთანავე. კარი რომ დაკეტული დახვდა, გაღება არ უცდია, გარეთ გაბრუნდა და, მართათ, დაიძახა.

— გამოვუჩნდეთ, არ გავგლახავს... ვთქვი მე.

— გადი და მოგყვები, — მითხრა აჩიკომ.

ის იყო უნდა გავმძვრალიყავი, აქა ვარო, გაგონა დედამ.

— დედა მოდის! — ჩამავლო ხელი აჩიკომ და აღარ გამიშვა.

— ბიჭი როგორ არის? — მოგვესმა დედის ხმა. ყურები დავცქვიტეთ. პაპამ ჩაახველა და როდის-როდის ამოილაპარაკა: — როგორ იქნება, საცოდავად!

დერეფანში შემოვიდნენ, წინ დედა მოაბიჯებდა.

— რაო, რა თქვეს ექიმებმა?

— რა თქვეს და... — პაპა შეეყოყმანდა, — შეშინებულ-იაო. რალაც აშლილობა აქვსო... ღმერთო მომაგონე!... ფინკიურით თუ რალაც...

— ფსიქიური აშლილობა? — მიეხმარა დედა.

— ჰო, ეგრე თქვეს.

ლამაზა რომ აინთო, პაპას მაშინლა გავახსენდით: ბიჭები სად არიანო, უეცრად წამოიძახა.

— სად არიან და დარღუბალაში! — გაჯავრებით თქვა დედამ, — არ დაბრუნებულან. ვიფიქრე, საბჭელში იმალებიან-მეთქი. იქ არ დამხვდნენ. სხვენზეც ავიხედე... ახლა თინასთან ვიყავი, არც იქ მისულან...

— ჰუ! — ამოიგმინა პაპამ.

— ალბათ, მაყვალასთან წავიდნენ. (მაყვალა დეიდაჩემი იყო).

— მერედა „ალბათის“ იმედით ვიყოთ?!

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ისევ პაპამ წამოიწყო:

— არ გეწყინოს და სულ შენი ბრალია, მართა! ბავშვების ცემა-ტყევა ვის გაუგონია?! გულის ჯავრს საკუთარ ბალებზე იყრი? რალა კემა ეჭვირებათ ამ უბედურ დროში!

გულზე რალაც დამადგა. სუნთქვა შევწყვიტი და მთელი სხეული დავძახე, რომ არ ჩამეხველებინა.

— კაცი დავებრდი და ასეთი რამ არასოდეს დამმართნია! — თქვა პაპამ ცოტა ხნის შემდეგ.

— რა მოხდა? — გაკვირვებით ჰკითხა დედამ.

— საოცარია პირდაპირ, ჰი, ჰი, ჰი! — ნაძალადევად ჩაიჭირქილა პაპამ. — სინათლე მომეჩვენა!

— მოგეჩვენა?

— ჰო, სინათლე მომელანდა!

— კიდევ ჩაიჭირქილა პაპამ. — გაღმიდან ჩვენს სახლს რომ ვუყურებდი.

დედა, ანგელოზები დროდადრო სინათლეს აანთებენო... იქნებ, მოგვეტადოს ღმერთმა, ვინ იცის!

— მოგვეტადოს, აბა, სულ ასე ხომ არ ვიქნებით?! — უთხრა პაპამ და ღრმად ამოიოხრა...

ერთხანს უხმოდ იყვნენ. მერე პაპა დერეფანში გამოვიდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მაყვალასთან მივდივარ.

— ამ ბნელში როგორ უნდა იარო?! მე ჩავივრბენ გათენებისას! — გამოჰყვა უკან დედა.

— გათენებამდე შინ რა გამაჩერებს! — უპასუხა პაპამ და ეზოში გავიდა.

აჩიკო შეიშმუნა და სუნთქვას მოუხშირა. დედა ოთახში შებრუნდა თუ არა, ძმამ ხელი წამკრა: მომყვიო. მაგიდის ქვეშიდან ფიცხლად გაძვრა, ეზო გადაირბინა, გზამარაზე გავარდა და შეჰყვირა:

— პაპა!

— აქა ვარ, შვილო!

ამასობაში მეც მივირბინე, და აჩიკოს გვერდით დავდექი.

— სად დაგვიკარგეთ, თქვი კული-



სინათლე გამოდიოდა. ამოვივაკე. აქეთ გამოვიხედე და შუქი უკვე აღარ ჩანდა. მეგონა, დაიძინეს და სინათლეს ჩააქრეს-მეთქი. მოვედი და კარი გადარაზული დამხვდა...

— ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე: ვის ოჯახშიც ღვთის თვალი დატრიალ-

ანებო, ელდა რომ გვაჭამეთ? ეს იმედი გვეკონდა თქვენი?! — მოლიოდა პაპა და მოლაპარაკობდა. წინ ისე აგვიარა, ვერ დავგვინახა. ჩვენ უკან მივყვიეთ. ჭიშკართან რომ მივიდა, უკან მოიხედა:

— სადა ხართ, ბიჭებო!



— აქა ვართ! — გაუბედავად წამოვიძახეთ.

— ნუ ითრევთ ფეხს, მე ვიცოდებ და დედათქვენიძა! — გვითხრა ალერსიანად.

დედას ჩვენი ხმა გაეგონა, დერეფანში გამოსულიყო, ლამპას გვინათებდა.

სამაო მოლოდინი

როგორც იქნა, გვეშველა: გაიჭრა პურის ყანები. მთელი სოფელი დებადულიანად შრომის ფერხულში ჩაება. ქალოობამ ხალხს თითქოს მწუნარებაც დაავიწყა და გაჭირვებაც. ყანებიდან ყრიაშული ისმოდა. კაცმა რომ თქვას, კი გვექონდა სიცილი-სა და სიმღერის მიზეზი: სტალინგრადთან სისხლდაცლილი მტერი ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს და წელათრეული უქან-უქან მიბობდავდა...

ბერიკაძეებს რამდენიმე მცელავი მანდილოსანიც ამოსდგომოდა გვერდით, სხვა ქალები კი ნამგლით მკიდნენ. ბავშვები და დედაბრები თავთავებს ვაგრძობდით, ნამკალს ისე ვასუფთავებდით, ჩიტი ნისკარტის წასაყრავსაც ვერ იპოვიდა.

ესაო და ჭირნახულის აღებას კიდევ მოვესწარიო, პაპაჩემი თავდაულზოგავად მუშაობდა. ცელს ისე ფართოდ იქნევდა, თითო ხელეუბრიდან თითო ძნა შეიკვრებოდა.

მზე რომ საშუაღლეოზე წამოიშარა, პაპა ვერხვის ჩრდილს შეეფარა, ჩაჯდა და ცელს ჩაქუჩით გამოპირვა დაუწყაო. მეც ეს მიწოდდა, — თავთავებს თავი მივანებე და პაპას მივამურე. რომ მივუახლოვდი, რაღაც ლინინივით შემომესმა. გვევოციდი, პაპა ხომ არ მღერის-მეთქი. არა, არ მღეროდა... ჩაქუჩის ხმაზე სიტყვებს აყოლებდა და დიომასებურად იმეორებდა:

ლოპე, ლოპე, ლოპეშია, გობემძვარალა გობეშია.

პაპამ ვერ შემამჩნია, მეც ხმას არ ვიღებდი, ვიდექი და ვუსმენდი. მსიამოვნებდა, ნაცნობ სიტყვებს დიომასებურად რომ უქცევდა. ერთი ხუთჯერ მაინც გაიმეორა, წამით ხელი შეესვენა, ჩაახველა და თავი ასწია.

— ჰო, შენ აქა ხარ? — გამოიღიმა, — არ გიხარია, „გობემძვარალა გობეშია“ რომ მოდის დღეს?

— როგორ არ მიხარია!

დიომა მართლაც დღეს უნდა გამოეწერათ საავადმყოფოდან. პაპამ გულმინისწინ ინახულა. გახარებულნი დაბრუნდა ბიჭი მერცხალივით ფრინავსო. მთავარი ექიმი ვერ ვნახე, თორემ დღესვე წამოვიყვანდიო.

ბრიგადირმა უთხრა: ამ ყელისჭრა მუშაობაში ბავშვის გამოსაყვანად შენ ვერ გავიშვებ, რძალი გაგზავნეო. ჰოდა, დედაჩემი დღეს უთენია წავიდა.

— რას ფიქრობთ, კიდევ წაიყვანთ დიომას ხელურაზე და შიშით დამიხუთავთ? — თქვა პაპამ და ჩაქუჩს ცელის პირზე ისევ კაკა-ქუჩი აუყენა.

— არა!

— ჰო, არ უნდა წაიყვანოთ, შვილო. თუ იცით, უცხო ქაბაძს როგორ იშინაურებენ? ჯერ თოკით ბუნხართან მიბამენ, მერე ფეხებს დაუფალმანდებენ და ეზოში გაუშვებენ. შემდეგ კი ფალმანდსაც შესწინა და, ჰაიდა, სადაც უნდა, იქ წავიდეს, იციან, აღარ დაეკარგებათ!

უქანიდან ფეხის ხმა მომესმა. დედა წამოგვდგომოდა თავზე.

— მე სასიკვდილემ დიომა რომ ვერ მოგიყვანეთ? — ამოთქვა გვიან-გვიან.

— არ გამოწერეს? — წარბები შეყარა პაპამ.

— კი გამოწერეს, მარა... — ველარ დამთავრა დედამ, თითქოს ენა ჩაუყარდაო. პაპა უხმოდ შეჰყურებდა და პირს ნერვიულად აწკლავებდა.

— რატომ არ წამოიყვანე?! — წავიჭუჭუყუნე.

— რაღას წამოვიყვანდი, უპატრონო ბავშვთა სახლში გაუგზავნიათ, შვილო, — ამოდერლა დედამ როგორც იქნა.

— რაო?! — პაპას ხელიდან ჩაქუჩი გაუვარდა, — ჩემს დიომას უპატრონო ბავშვთა სახლში რა უნდა?!

— იქ უკეთ მოუვლიანო.

— ვინა თქვა? — პაპა წამოდგა და ცელის ტარს დაეხრინა.

— საავადმყოფოს დირექტორმა.

— შენ რაღა უთხარი?

— მე ვინ მომიმინია!.. — ნალვლიანად თქვა დედამ.

პაპა ერთხანს ჩაფიქრებული იყო, მერე იკითხა:

— დიომამ რაო — იქ მიჩრეხნიაო?

— დიომა ვინ მანახვა! ბავშვი უთქვენობას დარდობს და ახლა თვალი რომ მოგვარათ, თქვენი დავიწყება უფრო გაუჭირდებაო...

— აბა, მეც ნუ მანახებენ, თუ კაი ბიჭები არიან! — შესძახა პაპამ, ცელი იქვე მიავლო და ყანას თავქვე დაუყვა. დევის ნაბიჯით მილაჭუნობდა და ხმაშალა ბუზღუნებდა.

— ვინ გაწყენინა, ხარება? — დაუდგა წინ ბრიგადირი.

პაპამ ბრიგადირს არც კი შეხედა, ისე ჩაუარა. ბრიგადირთან რამდენიმე კაცმა მოიყარა თავი.

— რაო, რამ შეაფუცხუნა ჩვენი ხარება? — იკითხა ერთმა. დედამ ყველაფერი უამბო.

ბრიგადირი უცებ ადგილიდან მოწყდა და პაპას გამოენთო:

— არ დამლუპო, ხარება, ცელი არ გამიცდინო, შენი იმედი მაქვს, შეკაცო!

პაპამ არც მოხედა.

პაპას მეზობლანი აიმილებან

მე და აჩიკომ ლოგინს ქათმის დაბუღებამდე მივამურეთ. დაღლილ-დაოხებულებს თვალი გვებლიტებოდა, მავრამ ძილს ვუძალიანდებოდით — პაპას ველოდებოდით, იგი კი არა და არ ჩანდა...

დედამ ლამპა აანთო და ჩვენკენ წამოვიდა. თავი მოვიმძინარეთ.

— შემოველოთ დედა, როგორ ჩასძინებიათ! — ჩაილაპარაკა და ჯერ მე მაკოცა. მერე აჩიკოს. სიხარულით გავინახეთ, კარგახანი იყო, დედა აღარ მოგვფერებია...

ერთხანს ოთახში დედის ფეხისხმა ისმოდა, მერე ისიც მიწყდა. ცალი თვალი გამოვაჰყიტე და ბუნხრისაკენ გავიხედე. დედა მაგიდასთან იჯდა, წინ სამკუთხა ბარათები ეწყო და კითხულობდა.

„იტირებს“... — გამიელვა გულში და საბანი კვლავ წავიხურე. აჩიკომ მკლავზე ხელი მომიჭირა: ნუ ინძრევო. ვიცოდი სახლიკაცის ამბავი, — თუ კიდევ შევიმშენებოდი, უქველად წამიმთვალეულებოდა. ამიტომ გავისუსე. ისე ჩამეძინა, დედის ტირილი არ გამიგონია.

პაპა დილით დაბრუნდა. უგუნებოდ იყო — მთელი ღამე ფეხზე ვუყურე-უყურე, თვალი არ მომიხუჭავსო.

— განახვეს? — ჰკითხა დედამ.

— მანახვეს. — ყრუდ ჩაილაპარაკა.

— რაო, რა თქვა საცოდავმა? — თვალეტი აუფოფინდა დედას.

პაპამ ამოიოხრა.

— უცვებ გადაუბირებიათ... მეგონა, ყელზე ჩამომეკიდება და ველარ მოვიშორებ-მეთქი, გაგოგონია?! დელექტორმა ერთი წაულაპარაკა — გეყოფა გარეთ ყოფნაო, და მაშინვე წაუტუნტულდა; ერთხელაც აღარ მომხედა...

— იქნებ შეამინეს?

— აბა! — თავი გაიქნია პაპამ.

სხვის
კვირგვინი

ბავშვი ასეა: ამაგს ივიწყებს, ვინც თავზე ხელს გადაუსვამს, იმისია!
დედას აღარაფერი უთქვამს. მე კი უცებ გადამეწურა დიომას ნახვის იმედი. ვიდრე და სულ ცოტა მიკლდა ცრემლად დავღვრილიყავი.

ისეთი თავარა სიცხეა, მზის სხივებზე მჭადი გამოცხვება. თითქმის მთელი ბრიგადა ვეება კაკლის ქვიშაა თავმოყრილი, მზის გადახრას ელოდებიან. პაპაჩემიც აქაა, გვერდით ცელი მოუდვია, ზის თავდახრილი და ჩაფიჭრებული. მესამე დღეა, დანა პირს არ უხსნის.

მეზობლები ცდილობენ, პაპა საუბარში ჩააბან, მოაგულებონ.

— ეს კაკალი რა ხნის იქნება, ნეტავ? — იკითხა ერთმა.

— ხარებას ეცოდინება, — უპასუხა მეორემ.

— კაკლის ხე კი არა, თავი აღარ მახსოვს, — ჩაილაპარაკა პაპამ.

— დიომას დარდობს! თქვა ერთმა.

— რა სჭირს დიომას სადარდებელი, მშვენიერ ადგილასაა, ვაიზრდება და კაცი გამოვა! — შეეპასუხა მეორე.

— ვინც არ იცის, ცერცვიაო და ვინც იცის, ცეცხლიაო... — თქვა პაპამ, მერე ხმას შეუშალა: — იცით თუ არა თქვენ?! ბარე ორ კვირას ჯოჯოხეთ გზაში ამ ბებერი ძვლებით ვათბობდი, პირიდან ლუქმას ვიღებდი და ვაჭმევდი... ლეკვი რომ შეგეჩვიოს და დაგეკარგოს, ის მოგწყვეტს გულს და...

პაპას თითქოს სული შეეხუთაო, სიტყვა გაუწყდა.

— პატარახანს გვაცალე, ხარება ბიძია, ეს მოსავალი მოგვაგულსიკირებინე და მთელი ბრიგადა წამოგვევებით, იმ შენ დიომას ისევ შენ დაგიბრუნებთ! — რიხიანად შესძახა ბრიგადირმა.

— წავყვებით, აბა რა!

— გავვიძებს, ბერო მინდია, მუხლი მაიბი მგლისაო... — ჩაუშაირა რომელიღაცამ.

პაპა წამოძახილებს უხმოდ ისმენდა და შუბლზე მიყრილი ნაოჭები თანდათან უცოტავდებოდა.

მოსწავლეთ



შეამოქმუდე



ზოოპარკი



ბიზი
ნონიკაშვილი,
თბილისის
პირველი
ბახანგაძლიძეაული
დღის
სკოლა,
II კლასი.



მზემ თავს დამადგა
სხივთა გვირგვინი,
ოქროს სიზმარში
ზღაპრებად ვიწვი.
მომიაღერსებს
ულრუბლო ზეცა
და მშობლიური
სურნელი მიწის.

მწელი

ზღვის სივრცეს გავსცქერ
დუმილით დიდხანს,
მეჩურჩულება, მიცინის ტალღა.
მე მხრებზე ღრუბლის
სამოსელს ვისხამ
და ფრინველივით ვიჭრები მალღა.
თვალი მეღლება
ცისკენ მზირალი,
ბედის ღიმილი თუმცა თან მახლავს,
კვალდაკვალ მივსდევ
ფრთიან ოცნებას,
მოწამე არის ზღვის ერთი ტალღა.

მარინა უტიაშვილი,
გურჯაანის რკინიგზის მე-17 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.



ალანის ვაჟი

სილამაზის
და
სიმედიის წლებო?

ალიონზე როცა ცისკრის ვარსკვლავი
ფერს დაკარგავს,
მკრთალად ციმციმს დაიწყებს,
სხივჩამქრალი სადღაც დაიკარგება
და ცისკიდე წითელ ფერებს წაიცხებს.
მზე ამოვა ცაზე ტაატ-ტაატით,
ზეცის გუმბათს ქალად დაეკიდება.
მისი ცელქი, მოელვარე სხივები,
ალანის ველს ოქროდ დაფინება.
გაიღვიძებს ალანანი ანკარა, —
ველის წელზე შემოკრული ქამარი,
ლამაზ ქალას აფრინდება ხოხობი,
შემოხაზავს თავის სამყოფს კამარით.
მერე უცებ ნელა აცეკვდებიან
მოჩურჩულე უნაზესი სიონი,
ჩამოიხსნის ღამის ნაძღვენ პირბადეს,
გამოჩნდება შორით კავკასიონი,
და სპეტაკი, თეთრი გედის სადარი,
ალავერდი — ფართო ველის მშვენიება,
ნათლის სვეტებს შეიფერებს ამაყი,
არემარეს უხმოდ მოეფერება.

ხანავ ბავშვობის, ბედნიერების,
სილამაზის და სიმედის წლებო,
ათასფერადო, როგორც ოცნება,
რა რიგ მიყვარხარ, ო, ყრმობავ, ჩემო!

ბედის სამჭედლოვ, მომავლის კერავ,
სიბრძნის, სიკეთის კაცში მთესველო,
დიდო ანბანო კაცთა ცხოვრების,
რა რიგ მიყვარხარ, ო, სკოლავ ჩემო!

უკვდავი ნერვის მთესველო ხალხში,
ათასი შვილის დედავ, მშობელო,
მუდამ მზრუნველო სამშობლოს ბედზე,
რა რიგ მიყვარხარ, მასწავლებელო!

გაპყვება დღე დღეს, გაივლის წლები,
დაიფერფლება ბავშვობის ხანაც,
მაგრამ ჩემს გულში უკვდავი არის
ხატება თქვენი მარად და მარად!

დალი შიშხანაშვილი,
თელავის რაიონის ხოფ. იუალთოს
საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ნ. მათიაშვილი,
თბილისის 61-ე საშუალო სკოლის
IX კლასის მოსწავლე.



ჩახეჩერი

მაღალ გუბზე,
კლდიდან კლდსზე,
შოვალ გულანამდერი,
სულ პატარა,
თვალკამპამა,
შოვანქარი ჩანჩქერი.
ჩემი გულით,
განარკულით,
და ზვირთებით ციფ-ციფით,
შოვანქარაღებ,
შოვანქარაღებ,
შოვანქარაღებ ციციებით.
როგორც ქარი,
ვარ მე ჩქარი
თუმცა განა დიდი ვარ?
სწრაფად ფრენით,
შოვანქარაღებ,
მდინარისკენ შივიდვარ
მაღალ შოვანქარაღებ,
კლდიდან კლდსზე,
შოვალ გულანამდერი,
სულ პატარა
თვალკამპამა,
შოვანქარაღებ ჩანჩქერი.

4010100000000000
გ. კორი VIII კლასი.

განაფხულეთ სუნთქვე უკმბი

განაფხულეთ სუნთქვა შენის,
შესმის ცვირტოთა გელის ძვრთა,
ჩიროების დღურბული და
ნაკადულის ხიბოა ფრება.
ვხედავ კალთებშიაპირციხლის,
გვერდმწველად დარჩენილ შიშებს,
განაფხულეთ მასხარბოლის
ლურჯ სიფრცხილად გაფრენილ ფრთებს.
ვხედავ განაფხულეთ მდელით
ამღვრებულ სივებს, ღრბებს,
ნუშებს, თეთრად შებოსილის და
ცყნაშლილფხულ ატვის სევებს,
ვხედავ ია-ნეშქვლების,
შროშანების ჯარს უფილაგებს,
ტრულ ხალიჩებს მველიფხულზე,
განაფხულეთ რომ მოუტანაგებს!

ლილია ჯაბიძე, 14
ოხობის მე-14 საფეხელი სკოლის
IX კლასის მოსწავლე.

ჩემი საქართველო

დაე, შეუდამ იმრიალოს ტყემ,
დაე, შეუდამ იმრიალოს წყარომ,
აფავადი ქართლის მინდორი!
თავი დაუბურე ქარი!
თავი ამოვაც, მაღაბი,
აფავადი შოა და ველო.
კარგი შეიღებე დავარდღებს
შენ, ჩემო საქართველო.
შენი გამაყოს ქართველი,
შენი მაქვს დიდი გულია,
შენს მიწაზედა სიყოფნა
და სიხარული მწვეურია.
თავი ამოვაც, მაღაბი,
აფავადი შოა და ველო,
სულ სიხარული გენაბოს
შენ, ჩემო საქართველო.

თამარია ხაბუაძე,
ქაობის ჩაობის სოფ. ცხრუაფა-
ბის აფ-წაღაბი სკოლა, VII კლასი.



სულხან ხუცესი. თბილისის 186-ა სკოლა, VIII კლასი.

4368 19178

ქართული

ბაბინე ოპოლანი,
ტყუბულის ჩაობის
სოფელ ოპოლანის
საშუალო სკოლის
IX კლასი.

ჩამოდი გულბორბოტი ქალი იყო, ვერ მგულობდა
მავლს და თასის სერებს მიზნითაფადა, რათა თავიდან
მივშორებინა.

ბიჭი სადღაც გადმოიკარა, უფროსი მამა შინ რომ დაბ-
რტყდა და მამა მოვიტოხა, ცოლმა სიხარულით დაუმალა,
ახე უფროსი.

არ ვციკი, სადღაც წავიდა და აღარ დაბრუნებუ-
და.

აფავა უფროსი მამა და გზას გაუფადა, იქნებ სადღაც და-
კარგულ მამს გადგეფარო. დადიოდა და ცველის ცუ-
თებშიდა; ახეთი და ახეთი ბიჭი ხომ არ გინახავო,
მგვარა მამს ახავალ-დახავალი ვერ ვგაიკი. ბოლოს ტყე-
ში დაუქუქი ძებნა, დადიოდა და ციხება.

შუქულით მიგზა და ხეობებს უფროსი მამა და
გაღმწვეტებს დასმარებდნენ; მისი ძახული გაუტრე-
ბინათ...

ამბობენ, ამის შემდეგ მიზეზი ადამიანის უკველ
დაძახბლს ენახურბინათ.

შვიდა განახული უსწენდა მამას და, ბოლოს, ნა-
ვლიანად გკითხა:

— მამი, იმოვიდა კი დაკარგულ მამა?
— ახავალა, შვილო, იმოვიდა... შოვალ მამამ და
თავზე ხედი ვახავებე.

— მიზეზი ადამიანებდნენ სხვა?
— შო, შელო, მიზეზი ადამიანებდნენ...

401010, ბათუმი უფანცხიძე. თბილისის 66-ა სკოლა IX კლასი.



მე ბილიკს მივდევი... და ბავშვობაც მტოვებს თანდათან.
მხოლოდ შორიდან ჩურჩულითა მეხმაურება.
მე დიდ მინდორზე ამომავალ გვირილას ვგავარ,
რომელსაც დიდხანს მოუთმენლად ელის ბუნება.
და მხოლოდ ფიქრი, ჩუმი ფიქრი აღარ მასვენებს...
სკოლა მეძახის, სკოლა მიხმობს უკანასკნელად!
მზე გამომიწვდის ოქროსფერ ხელებს
და ხვალინდელი დღის ნათელი მკერდს მომასკდება.

თამარ კოლალიშვილი.

ქ. თელავის მე-6 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ნატურმორტი.
დათო ფანჯვიძე,
თბილისის 65-ე სკოლის
IV კლასი.



პიონერები კოლმეურნეებს პატარა ყუთების გადაზიდვაში ეხმარებოდნენ. პიონერხელმძღვანელმა ერთ პიონერს ჰკითხა:

— ვალტერ, რად გადაგაქვს ერთი ყუთი? ხომ ხედავ, სხვებს ორ-ორი მიაქვო!

— ისინი ზარმაცები არიან, მეორედ მოსვლა ეხარებათ. — უპასუხა ვალტერმა ღიმილით.

გიზელა: მონიკა, როგორ მოგწონს ახალი წიგნი?
მონიკა: ბოლო ძალიან საინტერესოა.

გიზელა: დასაწყისი?

მონიკა: იქამდე ჯერ არ მივსულვარ...

ერთ კაცს ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: ივანშო, პედრო და ტეოდორი. ერთხელ მამამ შვილებს უთხრა:

— დღეს დედამ ნამცხვარი უნდა გამოაცხოს. აბა, რომელს გიყვართ ნამცხვარი?

— მე, მე, — აყვირა პედრო.

შუადღისას მამამ ისევ ჰკითხა შვილებს:

— კარადაში კომპოტი მეგულება, რომელი დამეწვევა?

— მე, მე, — წამოიყვირა პირველად ისევ პედრომ. ძმები კი ჩუმად ისხდნენ.

სალამოს კი მამამ შვილებს უთხრა:

— დილაზე მინდორში მივდივარ სამუშაოდ, ვინ წამომყვება? — თან პედროს არ ამორებდა თვალს.

— სულ მე დავიძახო „მე“? ივანშომ და ტეოდორმაც ხომ უნდა გააყეთონ რამე! — გაჯავრდა პედრო.

გერმანულიდან თარგმნა ელისო ფიჩხაძემ,
ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ორი ბიჭი თავგამოდებით გარბოდა ფინიშისაკენ.

— რატომ გარბიან? — ჰკითხა პატარა ტომმა დედას.

— იმიტომ რომ, ვინც პირველი მივა დანიშნულ ადგილამდე, ჯილდოს მიიღებს. — მიუგო დედამ.

— ერთი ბიჭი ჯილდოს მისაღებად გარბის, მაგრამ მეორეს რაღა მიაბრებინებს?! — გაუკვირდა ტომს.

მასწავლებელი: როდის აშენდა რომი?

მოსწავლე: ღამე.

მასწავლებელი: ვინ გითხრა ეს?

მოსწავლე: თქვენ არა თქვით, რომი უცებ, ერთ დღეში არ აშენდებოდაო?

ინგლისურიდან თარგმნა
ლაპარა დაბრუნდაშვილმა,
თბილისის მე-10 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ა ნ ა კ ე ბ ი

მხატვარი
მ. ჩხარტიშვილი.

იანვარი
სოკო
და
ციყვი



ციყვი ზამთრისათვის ტყეში სოკოს აგროვებდა, სათითაოდ ასუფთავებდა და ეკლებზე აცვამდა გასაშრობად. ციყუნებიც ეხმარებოდნენ დედა ციყვს, ტოტიდან ტოტზე მოხერხებულად დახტოდნენ, სოკოს ხეზე ეზიდებოდნენ. სადაც კი ეკალს შენიშნავდნენ, ზედ სოკოს წამოაცემდნენ. ამ ხტომა-ხტომაში, ყველაზე პატარა ციყუნას ფეხი აუტდა, ტოტზე გასაშრობად დადებულ ერთ მოზრდილ ქამა სოკოს წამოედო და ძირს გადაავლო.

— თვალები სადა გაქვს? — გაუჩავრდა დედა ციყვი და სოკოს ასაღებად თითონვე ისკუპა ძირს. ის იყო სოკოს დასწვდა, რომ ზევიდან ყრანტალი შემოესმა. ციყვმა მარდი თვალები აქეთ-იქით დააცეცა და დაინახა: ხის კენწეროზე ყვავი შემომჭდარიყო, პირი დაელო და ჩხაოდა.

— რა თავს დაგვჩხავი, შე ყრანტალავ! — უსაყვედურა ციყვმა.

— კი არ დაგჩხავით, შენზე და შენ შვილებზე მეცინება, წალმა-უკუღმა რომ დაცუნდრუკობთ, თითქოს

რალაც დიდ საქმეს აკეთებდეთ.

— როგორ თუ დაცუნდრუკობთ? — განრისხდა ციყვი.

ყვავმა გაანჩხლებული ციყვი რომ დაინახა, ისევ აგდებულად აყრანტალდა:

— მაინც რად გინდათ ამდენი სოკო და თხილი რომ მოვიგროვებიათ, სად უნდა შეინახოთ, ყურებში ხომ არ ჩაიწყობთ?.

ციყვი გაბრაზდა და რამდენიმე ნახტომით ყვავს წინ გამოეჭიმა:

— აი, შე ყვავო, ყვაო, ყვანჩალა, აქ იმისათვის მოჩანჩალდი, რომ მუშაობაში ხელი შეგვიშალო? იანვარი რომ დაუბერავს, შენსავით ლობეყორეს ხომ არ მოვედებით და სხვისი ნაალაფავის იმედით ხომ არ ვიქნებით? — მოიოხა გული ციყვმა, ყვავს ზურგი შეაქცია და საქმე განაგრძო.

მანვარი
და
ქორი

ერთი ტრაბახა ქორი ჩხიკვსა და კაქკაქს ეუბნებოდა:

— არწივი ვარ!

— არწივი კი არა, ქორი ხარ, — მიახალა პირში ჩხიკვმა.

— არწივი ვარ, აბა რა ვარ, — არ იშლიდა თავისას ქორი. — არწივსაც მოკაუჭებული ნისკარტი აქვს და მეც მოკაუჭებული ნისკარტი მაქვს. არწივსაც ორი ფრთა აქვს და მეც ორი ფრთა მაქვს. არწივსაც ორი ფეხი და თითო ფეხზე ოთხი ბრჭყალი აქვს, მეც ორი ფეხი და თითო ფეხზე ოთხი ბრჭყალი მაქვს.

სად იყო და სად არა, ცაში არწივი გამოჩნდა. რამდენიმე კამარა შეკრა და პირდაპირ იქ დაეშვა, სადაც ქორი, ჩხიკვი და კაქკაქი კამათობდნენ.

— რას დაობთ, გასაყოფი რა გაქვთ? — იკითხა არწივმა. აბა ჩხიკვს ენაზე რა დაადგებოდა? თვალები გადაატრიალ-გადმოატრიალა და სიტყვა-სიტყვით ჩაუკენჭა: — ქორი ამბობს, არწივი ვარო, არწივსაც მოკაუჭებული ნისკარტი აქვს და მეცაო. არწივსაც ორი ფრთა აქვს

და მეცაო. არწივსაც ორი ფეხი და თითო ფეხზე ოთხი ბრჭყალი აქვს და მეცაო. ჩვენ ვეუბნებით: — შენ მაინც ქორი ხარ. არა სჯერა, გინდა თუ არა, არწივი ვარო.

არწივმა ქორს გეზად გახედა და უთხრა:

— ყოჩაღ, ქორო, თვლა კარგად გცოდნია, მაგრამ მაინც რალაც გეშლება.

— მაინც რა მეშლება? — ქორი გაიბღინდა.

— ის გეშლება, რომ ფრთაც არის და ფრთაც... ბრჭყალიც არის და ბრჭყალიც... ხოლო. ნისკარტი წიწილასაც მოღუნული აქვს. — ბრძანა არწივმა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და ელვის სისწრაფით აიჭრა ცაში.

საქციელწამხდარი ქორი უხმოდ მოწყდა ადგილიდან და საქორეთში დაეშვა.





დაბი ირინე და ნინო
მანჯგალაძეები. რობი-ნი-
ნო მღერის, ირინე დის
აკომპანიატორია.



ვწენ ერევნის 30-ე და თბილისის 134-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები. მათ ობელისკის დაფაზე სამახსოვრო წარწერა დატოვეს: „ჩვენ ბიდი ოჯახის დებსა და ძმებს — ერთგული მეგობრობისათვის“.

— თქვენი მოსწავლეების თვითმოქმედება მაინტერესებს, — ვთხოვე სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორ ნინა სოკოლოვას.

— პიონერთა ოთახიდან დავიწყობთ, — შემომთავაზა მან.

იქვე, შესასვლელში, ჩემი ყურადღება თოჯინების კუთხემ მიიპყრო...

— ეს პირველკლასელთა ნახელავია, — მითხრეს უფროსმა პიონერხელმძღვანელებმა ვიქტორ მინკოვიჩმა და ნატალია კახელიშვილმა.

მუყაოს ქალაღლისაგან გამოჭრილი თოჯინები მოძმე ხალხების ეროვნულ კოსტუმებში არიან გამოწყობილნი. კედელზე ჰკიდია ჩარჩოში მოთავსებული სიგელი „საქალაქო დათვლიერებაში მიღწეული წარმატებისათვის — თბილისის პიონერული ორგანიზაციის საქალაქო საბჭოსაგან“.

ვსაუბრობთ პიონერთა და მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობის გარშემო, მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდაზე.

— ხშირად ვაწყობთ პოეზიის საღამოებს, — გვეუბნება ნინა სოკოლოვა.

— პიონერები თავიანთი საყვარელი პოეტების ლექსებს კითხულობენ. აქ ისინი ეუფლებიან მხატვრულ კითხვას, დამოუკიდებლად მსჯელობას, ეცნობიან ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებას...

სკოლას შესანიშნავი სასულე ორკესტრი ჰყავს. პედაგოგმა გიორგი დემეტ-

მეუფე ნიჭის გზა უაღრესად...

ელენე
ლილიაივივილი

მომხიბლავია ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე — ვაჟა-ფშაველას პროსპექტი. იგი წელიწადის ყოველ დროს ლამაზია.

ამ პროსპექტზე, მეოთხე კვარტალის დასაწყისში, აღმართულია დიდი შენობა.

ეს არის თბილისის 128-ე საშუალო სკოლა, რომელსაც მხოლოდ შვიდიოდე წლის ისტორია აქვს, მაგრამ უკვე ერთ-

ერთი მოწინავეთაგანია დედაქალაქის სკოლებს შორის. სკოლა რუსულია, მოსწავლეთა შემადგენლობა კი — ინტერნაციონალური. აქ სწავლობენ ქართველი, უკრაინელი, რუსი და სომეხი ბავშვები. მათი ინტერნაციონალური სულისკვეთების გამოხმატველია სკოლის ეზოში აღმართული შესანიშნავი „მეგობრობის ობელისკი“, რომელსაც ბევრი სტუმარი ჰყავს. ამას წინათ აქ იყ-

რაშვილმა სკოლის გახსნისთანავე ითავა ორკესტრის შექმნა და ხელმძღვანელობა — შეკრიბა ნიჭიერი ნორჩი მუსიკოსები, ესტრადისათვის შეარჩია ნორჩი მომღერლები... ორკესტრი წარმატებით ასრულებს კომპოზიტორ რევაზ ლალიძის ვალსს „ყვავილი თოვლზე“, დოლენკოს „ფანფარულ მარშს“, ოთარ თაქთაქიშვილის „საბჭოთა საქართველოს ჰიმნს“ და მრავალ სხვა



ნაწარმოებს. ამ ორკესტრში აღზრდილ-
თაგან ბევრმა წარმატებით განაგრძო
სწავლა მუსიკალურ სასწავლებელში.
აქ დავაჟაკებულმა, ამჟამად სამხედრო
სამსახურში გაწვეულმა ახალგაზრდებ-
მა — პავლე დრუჟინმა და ალექსანდ-
რე სარქისიანმა გულთბილი ბარათები
გამოუგზავნეს თავიანთ აღმზრდელს:
„ძვირფასო მასწავლებლო! ჩვენ აქაც
ვპოულობთ დროს მუსიკისათვის. ვუკ-
რავთ ჩვენი ნაწილის სასულე ორკეს-
ტრში. კვლავ და კვლავ მადლობას გიძ-
ღვნით“...

როგორც საქალაქო მასშტაბით, ისე
რესპუბლიკურ დავალიერებზე საუ-
კეთესოდ გამოსვლისათვის ორკესტრს
მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდო, სი-
გელები.

ორკესტრს ამშვენებენ ნორჩი მომ-
ღერელები, კონკურსში გამარჯვებული
პიონერები ანდრო ვაშაკიძე, ინა და
დიანა ბუჟანოვები, დები — ირინე და
ნინო მანჯგალაძეები.

— ირინე და ნინო ძალზე მუსიკა-
ლური არიან, — გვესაუბრება აღმზ-
რდელი. — ნინო მეოთხეკლასელია, ირი-
ნე კი წელს გადავიდა პირველ მუსიკა-
ლურ სასწავლებელში და წარმატებით
განაგრძობს სწავლას. ირინე შესანიშ-
ნავად უკრავს და მღერის, ხოლო როცა
ნინო სოლოს ასრულებს, მაშინ ირინე
დის აკომპანიატორი ხდება. ამ ორი
წლის წინათ დები „ახალგაზრდობის

კაფეში“ საღამო-კონცერტზე მიიწვია
საპროექტო ინსტიტუტმა. საბავშვო სიმ-
ღერების ყველაზე კარგი შესრულები-
სათვის ნინომ ჯილდოდ რაფაელის
ფირფიტა მიიღო.

მიეცი ნიჭსა გზა ფართო... და აი,
დები თბილისის პიონერთა და მოსწავ-
ლეთა სასახლის მომღერალთა გუნდის
წევრები გახდნენ. მეცადინეობენ ვოკა-
ლურ ჯგუფში, მონაწილეობენ საბავშ-
ვო მუსიკალურ საღამოებში, კონცერ-
ტებში, სადაც მსმენელთა მადლობას იმ-
სახურებენ. გოგონები ლაღად მღერიან
თავიანთი საყვარელი კომპოზიტორების
— მერი დავითაშვილის, ელეონორა ექ-
სანიშვილის, დალი ჩხეიძისა და სხვა-
თა ნაწარმოებებს.

— ძალიან გამიხარდა, როცა ჩვენი
სკოლიდან გამგზავნეს ერევანში, ბავშ-
ვთა მეგობრობის ფორუმზე, — თქვა
ნინო მანჯგალაძემ. — მინდოდა მეგობ-
რებისათვის რაიმე საჩუქარი მიმეძღვნა,
სომხურ ენაზე შევისწავლე სიმღერა
„ჯან-ერევან“ და ერევანში გამართულ
კონცერტზე ვიმღერე ჩემი დის აკონ-
პანიმენტი...

მეგობრები სიყვარულით მეხვეოდ-
ნენ...

შემდეგ სომეხი მეგობრები ნინოს
თბილისში ეწვივნენ და სამახსოვრო
საჩუქრები ჩამოუტანეს.

ნინო მანჯგალაძე ელეონორა ექსა-
ნიშვილის თაოსნობით გამოდის საბავ-

შვო თებრაში „ტყის კომედია“ ნორ-
ჩი მომღერლისათვის კიდევ ბევრნი არა-
არის დაუვიწყარი. თუნდაც, მარშან
კომპოზიტორთა კავშირში გამართული
ქალთა სადღესასწაულო კონცერტი, სა-
დაც მონაწილეობდნენ ცნობილი მომ-
ღერელები: მერი ნაკაშიძე, ანგელინა მი-
ქაბერიძე და სხვანი. ნინოს გული სიხა-
რულით ევსებოდა, რომ ამ საღამოს
წარმატებაში თავისი მცირე წვლილიც
შეიტანა.

საქალაქო დავალიერებზე მოპოვე-
ბული წარმატებისათვის მხატვრული
აღზრდის სახლმა დები დიპლომით და-
აჯილდოვა; აქ მათ იმღერეს თავიანთი
მამის — გენო მანჯგალაძის დაწერი-
ლი სიმღერა „ლაშქრული“. მამა ინ-
ჟინერიც არის და თვითნასწავლი კომ-
პოზიტორიც. მის სიმღერებს ხალხისით
და სიამაყის გრძნობით ასრულებენ შვი-
ლები.

მკითხველს ალბათ ახსოვს საბავშვო
ტელეგადაცემა „ასფურცელა“ და მო-
უსმენია ირინე და ნინო მანჯგალაძე-
ების მიერ შესრულებული სიმღერები.
ნორჩი მომღერლების წარმატებების სა-
თავე კი 128-ე საშუალო სკოლიდან
იწყება. პირველად აქ, ამ სკოლაში
ეზიარნენ ისინი მუსიკის სამყაროს, ხე-
ლოვნების სიყვარულს, მეგობრობის მა-
ღალ გრძნობას.

კვადროგმა
პიორკი
დემეტრაშვილია
ნორჩი
მუსიკოსებიანაან
მშვენიერი
სასულე
ორკესტრი
შეამნა.



ფოტო
ა. კობორაშვილისა.



ქაღალდი ყველაფერს ხვდება

იონე ვივარი,

ნორვეგიელი მწერალი, ნატურალისტი.

ძალი საკვირველი არსებაა: ხვდება, გრძნობს, როცა მოკვლას უპირებენ.

— ნუ მიყურებ. გვერდზე გაიხედე!

კაცმა თოდის ლულა წაჰკრა ნაცრისფერ დრუნჩხზე და ძაღლმა შესაბრალისად დაიწყებუთუნა. შებრუნდა, მაგრამ მყისვე კვლავ მიაპყრო პატრონს სერიოზული მუქი-ყავისფერი თვალები.

— იწეკი!

შეძახილმა არ გაჭრა, ძალი კვლავინდებურად თვალს არ აცილებდა ადამიანს, თვალებში მისჩერებოდა და ეს ბოჭავდა კაცის სიმტკიცეს. საკუთარი უსუსურობის შეგრძნებას სიგიჟედ მიჰყავდა.

ახლა უფრო მაგრად წაჰკრა თოდის ლულა. ძალი ისევ აწყებუთუნდა, მაგრამ ისე, რომ კაცისთვის მზერა არ მოუცილებია. კაცმა თოფი კედელზე დაჰკიდა — მერეც მოესწრაბაო. გუშინ რამდენჯერმე სცადა მოკვლა, მაგრამ ხელი არ ემორჩილებოდა ჩახმახის გამოსაკრავად.

კაცმა იცოდა, რომ ეს გარდაუვალი იყო, რადგან ეს ნიშნავდა სიცოცხლეს ან სიკვდილს, როგორც მისთვის, ასევე მარხილში შებმული ყველა დანარჩენი ძაღლისთვისაც. ცოცხალი არსება ერთ კვირაზე მეტს ვერ გაძლებს უჭმელად. შიმშილი კუნთებს ჩვრად აქცევს.

კაცი ქოხში რომ მივიდა, არც სურსათი დახვედრია და არც შეშა. ქარბუქი იდგა, ჩრდილოეთის გრივალის განუწყვეტლივ ბობოქრობდა და აღმოსავლეთ გრენლანდიის ამ ნაწილში ნამდვილი მეორედ მოსვლა იყო.

შვიდი უსასრულო დღის განმავლობაში იწვა კაცი საძილე ტომარაში და მეტწილად თვლემდა, მხოლოდ შიგადაშიგ თუ ჩაეძინებოდა ღრმად. კარგია მშვიერსა და გათოშილს რომ ჩაეძინება, მაგრამ

მით უფრო მძიმეა, როცა გამოიღვიძებ და კვლავ შეიგრძნობ შენს უმწეობას. ყოველ დღე, ყოველ საათს შიმშილი თანდათან უფრო მეტად აცლიდა არაქათს მასაც და ძაღლებსაც. ასე რომ, მალე ისინი იმ ოცდა-



ათი კილომეტრის დაძლევასაც ველარ შესძლებენ, მეორე ქოხიდან რომ აშორებთ. ამიტომ, ვიდრე მთლად ილაჯი არ გასწყვეტიათ, ერთ-ერთი ძალი უნდა მოკვდეს. მისი აღსასრულის ეამი დადგა.

ცოტა განათდა. კაცი გარეთ გავიდა, რომ დამბურას კედლიდან ერთი-ორი ფიცარი კიდევ აეძრო ცეცხლის შესაკეთებლად. ძეხორციელი ორიოდ მეტრის სიშორეზე თუ გაარჩევდა რაიმეს, იმის იქით უკვე სიცარიელე იყო — მხოლოდ თოვლის ფანტელების ქარაშოტი.

კაცმა კარი მიხურა, გათოშილი

ფიცრები დაამტვრია და ჩოქმულს შეუყვია. ცეცხლის ადრის მუქი კვლავ შეიძლებოდა მაგვის თვლების დანახვა. ისინი უთვალთვალბდნენ მის ყოველ მოძრაობას. სადგომში რომ დათბა, ძაღლი უფრო ახლოს მიჩოჩდა ღუმელთან. კუდს აქიციებდა, ყურები დაეყურსა. მერე კაცს ხელების ლოკვა დაუწყო.

ჩვეულებრივ ძალი ასე თხოულობს საჭმელს, ან ალერსს, ან სიცოცხლეს.

კაცმა თავზე ხელი მოუთათუნა. — ჩემო საბრალო!

მაგრამ ძალი არ ეცა მხიარული წკმუტუნით, როგორც ამას სხვა დროს აკეთებდა. მხოლოდ დრუნჩი ჩამოადო მუხლზე და სახეში შეხედა.

საკვამურში ალი გუგუნებდა. ასეთ ამინდში ცეცხლის ღმერთი უძლებია. წითელი მუქი დასრიალებს გაყინულ, თეთრ მელაზე, კედელზე რომ ჰკიდა. მაგრამ იგი საჭმელად

უვარგისია. თეთრი მელა მოწამლულ მისატყუარზე დაჭერილი.

ეჰ, მაგისი შეჭმა რომ შეიძლებოდა!

კაცი ძაღლის დრუნჩს იშორებს.

— მომწყდი თავიდან, მაგვი. შიგ სულში ჩამყურებ, სინდისზე მაგდებ. გამიგე: სხვა გამოსავალი არა მაქვს, შენ უნდა გაგწირო. სხვა ძაღლები შენზე მეტად მჭირდება. ისინი შენზე დიდები და ღონივრები არიან. შენ მათზე გონიერი ხარ, გაცილებით, თითქმის ადამიანივით გონიერი. მაგრამ აჰ, გრენლანდიაში, ეს არაფერს ნიშნავს. აჰ საჭირო არ



არაან ძაღლები, რომელთაც ფიქრი შეუძლიათ. ძაღლებმა მხოლოდ უნდა იმუშაონ — მარხილი ზიდონ. აქ მხოლოდ უხეში ძალა ფასობს და შენს ჭკუას, მაშასადამე, ფასი არა აქვს. სუსტი უნდა მოკვდეს, რომ ძლიერებმა იცოცხლონ. ასეთია კანონი, ჩემო საცოდავო მაგგი. მაგრამ კიდევ ცოტა მოვიცადოთ.

ისევ მუხლზე იდებს ძაღლის ღრუნჩს. დანარჩენი ძაღლები ძილში ღრუნენ.

— აბა, ერთი შეგხედო, ჩემო პატარავ. გამიჭირდება უშენობა, მაგრამ რა გაეწყობა. ცარიელი გამდნარი თოვლის იმედად შორს ვერ წახვალ. ახლა დაწევი, მოვიცადოთ საღამომდე.

საღამოვდება. კაცს სძინავს. მაგრამ ძაღლები აღვიძებენ. ერთ-ერთ მათგანს ტახტქვეშ ძველი, ხორცგაცილი ძვალი უბოვნია და გაავებული ღრუნით ხრავს.

ვა. მალე, გაჭინურება არ ღირს.

ჩახმასს გამოკრავს, და პატარა ქობს თოფის ხმა შესძრავს.

ერთხანს გაბრუებული ზის. გასროლის ხმისგან დარეტიანებული. მერე ხელს იწვდის, ძაღლს თავისკენ მოითრევს. და ერთხანს შეკრთება: ეს მაგგი არ არის! პოლია. ერთ-ერთი ყველაზე სულელი და ყველაზე ღონიერი. მარხილში ყველაზე კარგი გამწევი.

მაგგის ტახტქვეშ პოულობს. სულ ბოლოში წევს კედელს მიკრული, სხვა ძაღლების უკან...

ძაღლი შესაბრაღისად წკმუტუნებს, როცა გამოთრევას დაუბირებს, მერე ხელიდან უსხლტება და ისევ ტახტქვეშ ძვრება.

— მაშ ასე! — ჩურჩულებს კაცი. — შენ ყველაფერს მიხვდი. და ვიდრე მეძინა, ადგილი გამოიცვალე! მაშასადამე, გონებას კიდევ ჰქონია ფასი, აქაც, ამ საცოდავ ქონშიც კი.

ორი დღის შემდეგ კაცი მიწაზე ზის და ნამქერი ეყრება.

ძაღლის ხორციტ ცოტა რომ მომაგრდა, ქარბუქის ჩადგომას არ დაუცადა და გზას დაადგა. მაგრამ ჩანს ძალა ვერ მოზომა, მალე დასუსტდა. მერე გზაც დაებნა. მიმართულება დაკარგა და ახლა ალაღბედზე მიდიოდა. ზედიზედ რამდენიმე საათი იარა. დაბნელდა და მთლად გამოეცალა არაქათი. მერე რაღაცას ფეხი წამოჰკრა და დაეცა. დაძვრის თავი უკვე აღარ ჰქონდა, მხოლოდ წამოიწია, თოვლზე წამოჯდა და იგრძნო, როგორ ერეოდა თვლემ.

კაცი ზის ქარისკენ ზურგშექცეული. თითქმის დაფარა ნამქერმა. ზის ძილბურანში და იყინება. მის გვერდით არავინ არის. ძაღლებმა მარხილი გაიტაცეს. მაგგი, რომელსაც არ უნდოდა პატრონის მიტოვება, ყეფდა, ღრინავდა, მაგრამ დანარჩენმა ძაღლებმა წაათრიეს.

უკვე გვიანი ღამეა. უკუნი სიბნელეა. კაცი იყინება. მაგრამ ეს რა არის? ვიღაც ყმულით ფხოჭნის ზურგზე. ეს მაგგია! ძაღლმა, ეტყობა, დახრა ჭაპანის ღვედი, რათა მასთან დაბრუნებულიყო.

მაგგი არ ასვენებს. ფხოჭნის წყნარება, ჩება, ტანსაცმელს აგლეჯს, ცხელი — დაწევი! — უყვირის კაცი უკანასკნელი ძაღლის მოკრებით.

მაგრამ ძაღლი არ ეშვება. აი, წააქცია კაცი. კაცი მიზობავს, რომ ძაღლი დაიჭიროს. ძილი გაქრა, მხოლოდ საშინელ სისუსტეს გრძნობს. უმწეობისა და სიბრაზისაგან ტირის. მექანიკურად, ძლიერძლივობით დგება ფეხზე და ძაღლს მიჰყვება.

— მომიცადე, — ეძახის იგი სლუკუნით, — ოღონდ მომიცადე...

მაგგი განზე გაუბრბის. ყეფს, კუდს აქიცინებს, აიძულებს კაცს, მისდინოს. თანდათან მისი მოძრაობა უფრო მტკიცე, დაჯერებული ხდება. მაგგი ახლა უკვე წინ, მაგრამ ნელა გარბის, შიგადაშიგ მოხედავს კაცს.

ძაღლს ღვედი მისთრევს. კაცი ფეხს აბიჯებს ამ ღვედს, მერე ხელს დასტაცებს და მაჯაზე დაიხვევს.

— აბა, წინ, მაგგი! — ისმის ბრძანება. — გზა არ ვიცი, წამიყვანე საითაც გინდა.

ძაღლი სადავეს ჰიშავს — ეწევა კაცს, რომელიც ბრმასავით მიჰყვება.

რამდენ ხანს მიდიოდნენ ასე, რამდენი გაიარეს? ამას კაცი ვერასოდეს გაიგებს. შესაძლოა, არც ისე შორი იყო სავალი — რამდენიმე კილომეტრი, ანდა ორასი, სამასი მეტრი.


მხოლოდ ის იცის, რომ რაღაცას წამოედო. მარხილი იყო. მარხილის გვერდით კი იწვნენ დანარჩენი ძაღლები. იქვე შორიახლოს მონადირის ქობი მოჩანდა.

კაცი ხოხვით შევიდა ქონში, მოძებნა ასანთი და სანთელი. იპოვნა ლამპა, შეშა, ნახშირი და ნაირნაირი სანოვავე.

მალე სადგომში დათბა და სურნელოვანი ყავის სუნი დატრიალდა.

— მაგგი, — უთხრა მან. — მგონი რაღაც მახსენდება, ოღონდ ბუნდოვნად. მაგრამ კარგია, რომ ადგილი შეუცვალე პოლს. კარგია, რომ ჩემზე მეტი ჭკუა გქონია. მოდი ჩემთან, მაგგი.

მაგრამ ძაღლი გააფთრებული ღრღნიდა ძვალს და პატრონს უღრენდა.



კაცი წამოხტა, საძილე ტომრიანად ტახტის კიდზე ჩამოჯდა. აერიანებს, გულიც ერევა. მკვეთრი მოძრაობისაგან გული ლამის ამოუვარდეს. იგი უყვირის ძაღლებს. ძაღლები ჩუმდებიან.

„არა, ასე არაფერი არ გამოვა, — ამბობს თავისთვის. — მეტის მოცდა აღარ შეიძლება. დროა.“

იგი სანთელს უკიდებს და თოფისკენ იწვდის ხელს.

ძნელია ნახევრად სიბნელეში სროლა. მაგრამ რას იზამ? ძაღლი მშვიდად წევს ღუმელთან, იმავე ადგილზე, სადაც დაძინების წინ დატო-

მეგობრული



ავტომობილი

გაზაფხობი, ამ საერთო სათაურით ჩვენი შერჩეული გაზაც-
ნობით ავტომობილის მოკლე ისტორიას, ზოგიერთ ტიპურ
მოდელს, შუაზომი მოძრაობის წახაზს, მის ზოგიერთ თავისე-
ბურებას ჩვენში და საზღვარგარეთ. გიბრძობათ იმათ შესა-
ხაზავს, ვინც მიზანშეწონილად აღამიანს ეს ერთგული მეგობარი
ზოგჯერ მტრადაც მოგვევლინება ხოლმე.

კაცობრიობამ საუკუნეები მოანდომა დედამიწაზე გადაადგილების სწრაფი და მოხერხებული საშუალების შექმნას.

თავდაპირველად ადამიანმა ხმელეთ-ზე ამოიტანა იალქნიანი ნავი, მორგებორბლები და სცადა ქარის დახმარებით მოგზაურობა, მაგრამ ძალზე დიდი ხნის ლოდინი სჭირდებოდა სასურველი სიძლიერის ზურგის ქარს.

თანამედროვე ავტომობილის წინაპრად უნდა ჩაითვალოს რუსი ყმა გლეხის ლეონტი შამშურენკოვის ეტლი (საზიდარი), რომელსაც სატერფულები ჰქონდა და მოძრაობაში მოჰყავდა ორი ადამიანის ფეხის კუნთების ძალას.

შამშურენკოვის გამოგონება რუსეთის სენატმაც კი მოიწონა. და ავტორი იმ დროისათვის დიდი თანხით — 50 მანეთით დააჯილდოვა.

მოგვიანებით ავტომანქანის ასეთივე პროტოტიპი შექმნა ცნობილმა რუსმა მექანიკოსმა და გამომგონებელმა ივანე კულიბინმა. ეს მანქანაც ადამიანის კუნთების ძალით მოძრაობდა, განსხვავება კი ის იყო, რომ კულიბინმა მასში დაამონტაჟა მოწყობილობა, რომელსაც ბევრი საერთო აქვს თანამედროვე ავტომობილის გადამცემ სისტემასთან — ტრანსმისიასთან.

მაგრამ ცხენის შეცვლა ადამიანის ძალით იმ დროისათვისაც არ წარმოადგენდა პროგრესს და გამომგონებლებმა დაიწყეს მუშაობა სხვაგვარი ძრავის შესაქმნელად.

და აი, 1764 წელს რუსმა მექანიკოსმა ივანე პოლზუხოვმა შექმნა შეუნელებელი მოქმედების ორთქლის ძრავა. ექვსი წლის შემდეგ კი ფრანგმა ინჟინერმა და არტილერისტმა კიუნომ ასეთი ძრავა საზიდარზე დადგა, ეს იყო პირველი ავტომობილი, რომლის სიჩქარე საათში 4 კილომეტრს არ აღემატებოდა.

ამ ცდამაც მარცხი განიცადა: ერთი გასეირნების დროს მანქანა მწყობრიდან გამოვიდა ორთქლის ქვაბის აფეთქების გამო.

1802 წელს ტრევიტაკმა მიიღო პატენტი მანქანაზე, რომლის სიჩქარე საათში 10 მილს უდრიდა. მაგრამ ასეთი დაბალი სიჩქარეც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მანქანა გზას ასცდენოდა, გადაეხრებოდა მესერი და მდიდარი ლონდონელი ქალბატონის ეზოში აღმოჩენილიყო. ეს იყო პირველი საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა ჩვენს პლანეტაზე, რომელშიც ავტომობილმა შეიტანა წვლილი. ამ ავარიის შემდეგ ლონდონში აკრძალეს ტრევიტაკის მანქანის გამოყენება.

გარდა ამისა, ავტომობილის განვითარებას ხელს უშლიდნენ მდიდარი სარკინიგზო მაგნატები, რადგან მასში დიდ კონკურენტს ხედავდნენ. ყოველივე ამის მიუხედავად ავტომობილი მაინც არ ჩამორჩა საერთო ტექნიკურ პროგრესს. პირიქით, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ავტომობილმა, როგორც კონს-

ტრუქციულად, ისე რაოდენობით, არახულ განვითარებას მიიღწია.

რუსი კონსტრუქტორების დიდი მონდომების მიუხედავად, ცარიზმის პირობებში რიგის ვაგონსამშენებლო ქარხნიდან გამოშვებული იქნა 450 ავტომანქანა, რომელთა ბევრი დეტალი კვლავ უცხოური წარმოებისა იყო.

როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე დარგი, საავტომობილო მრეწველობა მხოლოდ საბჭოთა ხელი-სუფლების დროს შეიქმნა. პირველი სამამულო სატვირთო ავტომანქანები 1924 წელს გამოუშვა მოსკოვის ქარხანა „ამომ“ (იხ. ნახ. 1). (ამჟამად ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ქარხანა). ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრი-ალიზაციისა და სახალხო მეურნეობის თმისშემდგომი აღდგენის წლებში, სსრ კავშირში აშენდა მძლავრი საავტომობილო ქარხნები. ჩვენში ავტოქარხნების მშენებლობა განსაკუთრებით ინტენსიურად დღეს მიმდინარეობს. გამოდის სხვადასხვა დანიშნულების სრულყოფილი მანქანები, რომლებიც საზღვარგარეთაც იხვეჭენ სახელს.

ადამიანის გენია განაგრძობს მუშაობას ახალი, ნაირ-ნაირი კონსტრუქციის მანქანების შესაქმნელად. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტომობილი არა მარტო

გადაადგილების, არამედ გაზრდილი სა-
შიშროების საშუალებაცაა, თუ არ და-
ვიცავთ ქუჩაში მოძრაობის წესებს.


ყოველწლიურად მსოფლიოს გზებზე
ავტოკატასტროფაში 250.000-მდე ადა-
მიანი იღუპება და რვა მილიონამდე სა-
ხირდება.

ამერიკაში, მაგალითად, 1963 წელს
ავტომობილმა იმსხვერპლა 35.000 ადა-
მიანი. XIX საუკუნის მიწურულს ამე-
რიკაში ავტომობილმა პირველი კაცი
იმსხვერპლა, შარშანდლისათვის კი ავ-
ტომობილის მიზეზით დაღუპულთა რი-
ცხვმა 1.300.000 მიაღწია, მათ ძეგლი
აუგეს, ძეგლს კი ასეთი მრავალმნიშვნე-
ლოვანი წარწერა გაუკეთეს: „სრულიად
უაზროდ დაღუპულ მილიონ სამასიათას
ამერიკელს“. ავტომობილის მიზეზით
ყოველდღიურად 19 ფრანგია სასიკე-
დილოდ განწირული; 17 — ავსტრალი-
ელი, 12 — ინგლისელი; სამწუხაროდ, ამ
მხრივ არც ხაქართველოშია უკეთესი
მდგომარეობა, (1971 წელს, მაგალითად,
დაიღუპა 54 და დაშავდა 177 ბავშვი.)
თუ ეს ასე გაგრძელდა, ავტოკატასტ-
როფები ჩვენს ეროვნულ უბედურებად
იქცევა, მით უმეტეს, რომ ამ ხუთწ-
ლედეში ავტომანქანების გამოშვება ჩვენს
ქვეყანაში 3,2-3,6-ჯერ გაიზრდება და,
თუ დღეს თბილისში 40.000 მანქანა
მოძრაობს, ალბათ ეს ციფრიც ერთი-
ორად გაიზრდება.

ავტოაფარიები არ მოხდებოდა თუკი:
ყველა მანქანა ტექნიკურად გამართუ-
ლი იქნებოდა; ყველა გზას სუფთა ფე-
ნილი და საჭირო სიგანე ექნებოდა; ყვე-
ლა ადამიანი გადავიდოდა ქუჩიდან ქუ-
ჩაზე ისე, როგორც ამას საგანგებოდ
შემუშავებული წესები ითვალისწინებენ.
ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს ცნებას-
თან: ადამიანი-გზა-ავტომობილი. სწო-
რედ ამ სამი კომპონენტის ურთი-
ერთდამოკიდებულებას ემსახურება ქუ-
ჩაში მოძრაობის წესები. მას დიდი მი-
სია აკისრია: უზრუნველყოს ადამიანის
სიცოცხლე და ჯანმრთელობა, როგორც
ქუჩასა და გზატკეცილზე სიარულის
დროს, ასევე საჭის მართვისას.

სწორედ ამაზე გვექნება საუბარი შემ-
დგომ წერილებში.

ვაჟა ბავაშვილი,
თბილისის ავტონსპექციის ინსპექ-
ტორი.



1. „მინეპრა“ (ბელგია, 1913 წ.)
ძარა — 4-აღბილიანი ტორაქო,
„ლაბერდების“ ფირმისა. ძრავა —
4-ცილინდრიანი, უკალაპანო, ნატის“
ტივის 40 ცხ. ძლ. სიჩქარე — საათში
90 კმ.
2. „პაკარდი“, მოდელი — 640 (აშშ,
1928 წ.). ძარა — 6-აღბილიანი. ძრავა
8-9 ცილინდრიანი, 106 ცხ. ძლ. სიჩ-
ქარე — 120 კმ.
3. „დიუზენბერგი“ (აშშ, 1932 წ.).
ძარა — 2-აღბილიანი, როდსტერი
„თეივის კულით“. ძრავა 8-ცილინ-
დრიანი, კომპრესორით, 320 ცხ. ძლ.
სიჩქარე — 210 კმ.

4. „პირს — ეროუ“, მოდელი „30-
რცხლის ისარი“. (აშშ, 1935 წ.). ძარა
— 6-აღბილიანი „აეროდინამიკური“
სეღანი. ძრავა — 12 ცილინდრიანი.
125 ცხ. ძლ. სისწრაფე 185 კმ.
3. „ფორდი“, მოდელი 810/812 (აშშ,
1936 წ.) ძარა — 6-აღბილიანი სეღანი.
ძრავა — 8-ცილინდრიანი, 125 ცხ.
ძლ. სისწრაფე — 175 კმ.
6. ერთ-ერთი უკანასკნელი „სტუ-
დაბაიერი“ მოდელი „ავანტი“ (აშშ,
1962 წ.) ძარა — 4-აღბილიანი.
8-ცილინდრიანი, 250 ცხ. ძალა, სის-
წრაფე — 210 კმ.



**სამთავისის
ჭაქარი**
გაზენი 1972 წელს
№ 7-ში
დასავლ კითხვებზე

სამთავისის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უთვისაღიანი ძეგლია. იგი შიგა ქართლში, მდინარე ლეხურას მარცხენა ნაპირზე, სოფელ სამთავისში მდებარეობს და ცადატყორცნილი ხუროთმოძღვრული ფორმებით შორიდანვე იტაცებს მზერას.

ტაძარი გეგმაში ოდნავ დაგრძელებულ, სწორკუთხედში ჩაწერილ ჯვარს წარმოადგენს. ნაგებობის შიგნით ჯვრის მკლავების გადამკვეთი კვადრატი ოთხ ცალკე სვეტზეა დაყრდნობილი, მათზე კი გუმბათის ყელია აღმართული. კომპოზიციის მორგანიზებელი ნაწილი სწორედ ეს გუმბათქვეშა კვადრატია, რომლის ოთხივე მხარეს განლაგებულია ტაძრის მასები. შიდა სივრცისა და გარეთა მასების ჰარმონიული თანფარდობით ხუროთმოძღვრის მიუღწევია მხატვრული სრულყოფისა და მთლიანობისათვის, რასაც თავის მხრივ ხელს უწყობს ინტერიერის გეგმაზომიერი განათება.

ტაძრის ფასადების დეკორაციულ სისტემაში უმთავრეს აქცენტს ერთმანეთთან მწყობრად დაკავშირებული კამარნარი ქმნის. გრძივი ფასადები შემკულია 9 კამარით, რომელთა ცენტრალურ კამარაში თითო სარკმელია გაჭრილი, ხოლო მათ ზემოთ დარჩენილი კედლის სიბრტყე დიდი დეკორაციული ვარდულით არის შემკული. ტაძრის ფასადების დეკორაციულ სისტემაში უმთავრესია დღემდე შედარებით სრული სახით მოღწეული აღმოსავლეთის ფასადის მხატვრული გადაწყვეტა. იგი ხუთი კამარით არის შემკული, ხოლო ცენტრალური კამარით შემოსაზღვრული სიბრტყის ერთ ვერტიკალურ ღერძზე გამოსახულია მოჩუქურთმებული დიდი ჯვარი. დახვეწილი და ფაქიზი ჩუქურთმის წხულით დამშვენებული სარკმელი და ორი დიდი დეკორაციული რომბი. დეკორაციული ჯვრის ჰორიზონტალური მკლავების ზედა და ქვედა თავისუფალი არეები შევსებულია მოხდენილი ქართული ასომთავრული წარწერით. აღმოსავლეთის ფასადის მხატვრული გაფორმების საზეიმო განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს ფასადის ბარელიეფი, ყურძნისა და ბროწეულისაგან შედგენილი მოტივები. ჩვენამდე აღარ მოუღწევია ტაძრის სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეებს, რომელნიც საფუძვლიანი დაზიანების გამო გასული საუკუნის 50-იან წლებში მოუწვრივიათ. ტაძრის ინტერიერში, სახელდობრ გუმბათსა და საკურთხევლის აფსიდში, შემორჩენილია კედლის მხატვრობა. გუმბათის ცა მთლიანად უკავია ქრისტეს წელზევითა გამოსახულებას. გუმბათის ყელი სამ რეგისტრად არის დაყოფილი. პირველი შეიცავს მახარებელთა სიმბოლურ გამოსახულებებს; მეორეზე ღვთისმშობელი და 12 წინასწარმეტყველია წარმოდგენილი; მესამეზე კი 8 ანგელოზია გამოსახული, სფეროებით ხელში. ფიგურების თავებთან შემორჩენილია ბერძნული წარწერები.


ერთგან, ფრესკების შარავანდედის ორსავე მხარეზე გამოსახულებას ამხსნელი ქართული (ასომთავრული) და არაბული წარწერები ახლავს. ამ წარწერების არსებობა უნდა მიუთითებდეს, იმ ხანად, ახლო აღმოსავლეთ ქრისტიანულ ქვეყნებთან გაღვივებულ პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობაზე. მხატვრობა და ზემოაღნიშნული წარწერები, როგორც ამას საკურთხევლის წინ აღმართულ გუმბათქვეშა სვეტებზე შემორჩენილი საქტიტორო წარწერა გვიჩვენებს, გვიამილახვრის ბრძანებით 1679 წლის ოქტომბერში სამთავნელ ეპისკოპოსს მელიტონს შეუსრულებია. გარდა ამისა, ტაძრის გარეთ ფასადებზე შემორჩენილი წარწერები, ტაძრის აშენების თარიღის ზუსტად დადგენის საშუალებას იძლევა. კერძოდ, დასავლეთის ფასადზე, კარს-ზემოთ ჯვრის ზედა ვიწრო სიბრტყეზე ამოკვეთილია თარიღი, რომელიც 1030 წელს აღნიშნავს. ამასთანავე, იმავე წარწერებით ირკვევა, რომ სამთავისის ტაძარი აუშენებია ხუროთმოძღვარ სამთავნელ ეპისკოპოსს ილარიონს, დაჩე ყანჩაელისძეს. მასვე აუშენებია ტაძრის მარანი და საწნახელი 1050 წელს. ხოლო გარდაცვლილია იგი 1056 წელს. ცნობილია ისიც, რომ მასვე აუგია აშურიალის ეკლესია კასპის მახლობლად, ეგორწოდებულ „თეთრი ხევის“ უდაბნოში. ვინ იყო ილარიონ ყანჩაელი? ამ გვარის ფეოდალური „სახლის“ შესახებ წერილობითი წყაროები ბევრს არაფერს გვამცნობენ. გაკვრით იხსენიებს „მამა ყანჩაელს“, რომელიც კახი აზნაური ყოფილა (ცნობა ეხება X საუკუნის 50-60 წწ.). სამაგიეროდ, საუკეთესო ცნობა დაუცავს ამ გვარის შესახებ მეჭუდის ხეობაში მდებარე ბიეთის ეკლესიის წარწერას, რომელიც IX საუკუნით არის დათარიღებული. აღნიშნულ წარწერაში გაკვრითაა მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი იოანე ბაკურის ძე ყანჩაელი, რომელიც ბიეთის ეკლესიის სანახების „უფალი და პატრონი“ ყოფილა. როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, ყანჩაელების გვარს დასაბამი მისცემია ადრე ფეოდალური ხანის სოფელ ყანჩაეთში, რომელიც ქსნის ხეობაში მდებარეობს. ამრიგად ყანჩაელთა საერისთავო, შესაძლოა, ლიხვ-მეჭუდისა და ქსნის ხეობებს შორის მოქცეული მიწა-წყლით განისაზღვროს, ხოლო მის ცენტრში 1030 წელს აგებული ტაძარი, ამ ტერიტორიაზე არსებული ეკლესიამონასტრების გამგებელი — საეპისკოპოსო კათედრალური სავენე ყოფილა. წერილობითი წყაროების ჩვენებით, იგი ჯერ კიდევ V-VI საუკუნეთა მიჯნაზე არსებულა. ხოლო იოანე ზედაზნელის ცხოვრების ერთ-ერთ რედაქციაში სამთავისი ქალაქდაც კი არის მოხსენიებული. მემატანის ცნობით, XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის დამდეგამდე სამთავისი ჯერ ქართლის კათალიკოს მიქელს ეკავა, შემდეგ კი მწიგნობართუხუცესს ანტონ გნოლისთავისძეს, რომლის ფრესკა ყინწვისის ტაძრის კედლის მხატვრობას დაუცავს. XIV საუკუნის პირველ ნახევარში სამთავისი ზევდგინიძე ამილახორების მფლობელობაშია. ისინი გავლენიანი ფეოდალები ყოფილან XVIII საუკუნემდე.

სამთავისის ტაძარი ჩვენამდე პირვანდელი სახით არ მოღწეულა. უცვლელი სახით, როგორც შევნიშნეთ, მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადი შემორჩენილა. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ტაძარი განუახლებიათ. რესტავრაცია-განახლების მიუხედავად, სამთავისის ტაძარს ძირითადად შეუნარჩუნებია თავისი დროისათვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული ფორმები და მხატვრული აღნაგობა, რომელთა შესწავლა მკვლევართ საშუალებას აძლევს თვალი გაადევნონ ახალი ხუროთმოძღვრული თემებისა და ფორმების ჩამოყალიბება-განვითარებას.

სამთავისის ტაძრის ხუროთ-
მოდგერულმა თავისებურებამ
თვალსაჩინო გავლენა მოახდინა
შემდგომი პერიოდის ქართული
ხუროთმოდგერების განვითარე-
ბაზე და ცხადად გამოვლინდა
XIII საუკუნის ისეთი ტაძრების
შენებლობაში, როგორცაა იკო-
რთა, პიტარეთი, ლორეს ახტალა
და სხვა...

ბ. სოხაშვილი

ამ დასტამბული წერილი რაღაცნი-
ამაზინ მიიღო, როცა მისი ავტორი
— ხელოვნებათმცოდნე გივი სო-
ხაშვილი უკვე გარდაცვლილი იყო.
იგი ქარაღის რაიონის, ზემო ხვა-
ღურეთის ქაგლის შესავლის დროს
ტრაგიკულად დაიღუპა.



იხსოვ

**თუ
 აქა
 უნს**
**კომუნის
 მხაჯს?**



დააკვირდით ამ ფო-
ტოს და მოგვწერით
სად არის იგი გადა-
ღებული და რა არის
ზედ გამოსახული?



პასუხები გამოგზავნეს: თბილისის მე-15 საშუალო სკოლის VIII
კლასელმა ნანული უოჩიევმა; ზუგდიდის რაიონის აბასთუმნის საშუ-
ალო სკოლის VII კლასელმა მალხაზ უალიჩავამ; ქ. კასპის მე-8 საშ.
სკოლის VIII კლასელმა მარინე ზერკელიძემ; გაღის რაიონის სოფ.
ოტობაიას მე-2 საშ. სკოლის IX კლასელმა მადონა შონიამ; ზეს-
ტაფონის 1-ლი საშ სკოლის მოსწავლე რუსუდან კაპანაძემ; ჩხო-
როწყუს რაიონის, სოფ. ხაშურის საშ. სკოლის VI კლასელმა ნანა
შენგელაიამ; კასპის რაიონის სოფ. ქვემოკალელმა მოსწავლემ

ჭანიკო პავლიაშვილმა; გაღის რაიონის სოფ. მზიურის საშ. სკო-
ლის VII კლასელმა მერაბ ფიფიამ; გეგეუკორის რაიონის სოფ.
დოშაყეს მცხოვრებმა იამზე თოდუამ; კასპის რაიონის სოფ. იგო-
ეთის X კლასელმა ლია თექთუმანიძემ; კასპის 1-ლი საშ. სკოლის
მოსწავლემ თემურ ბაინდურაშვილმა; სვანეთის რაიონის სოფ.
პატარა ჩაილურის სკოლის VIII კლასელმა ლალი როსტიაშვილმა;
ჩხოროწყუს რაიონის თაისის საშ. სკოლის X კლასელმა ჭულიცა
საჩაიამ.



ველოსიპედისტებს ეშვებათ

ფრანგ ველოსიპედისტებს უკვე აღარ აშინებთ გზაზე საბურავის გახვრეტა — მაღაზიებში იყიდება შეკუმშული გაზითა და მწებავი ქაფით სავსე სპეციალური პატარა ბალონები (ჩიბუში ეტევა). საბურავის ნახვრეტზე ბალონის წვერის მიერთებით (როგორც ამას დატუმბვისას ტუმბოთი ვაკეთებთ) საბურავი ერთ წუთში იბერება და ნახვრეტიც საიმედოდ იწყება.

გაფრთხილი ტანი

ზელენოგურსკის სავოევოდოს (პოლონეთი) ტყისმცველმა პავლე პერიკმა თითქმის შეუძლებელი შესძლო — გარეული ტახი მოიშინაურა. ცხოველი სამ წელზე მეტია პერიკის კარ-მიდამოში ცხოვრობს, ამასთანავე ტყეშიც დადის. მაგრამ როგორც კი მონადირეებს დალანდავს, შინისკენ გარბის.

ფრინავი ავტომობილიც იქნება

ბერას (შლაგაუმიის) ან შუქნიშის წინ გულისგამწყვლბელ ლოდინში მძლოლები, აღბათ, არაერთხელ უნატრიათ: ნეტავი მფრინავი ავტომობილი გვექონდესო როგორც ჩანს, ეს ნატვრა მალე ახდება — იქნება ავტომანქანა, რომელიც რამდენიმე მარტივი ოპერაციის შემდეგ წყნად თვითმფრინავად გადაიქცევა. ფრენის სიჩქარე საათში 100 კილომეტრს გადაამეტებს. ასაფრენად მას დასჭირდება 800 მეტრი გა-

სარბენი ბილიკი. მანქანაში ორი კაცი და ცოტაოდენი ბარგი მოთავსდება.

ხის მილსადენი

მილსადენისათვის ყველაზე კარგ მასალად ფოლადს მიიჩნევენ. მაგრამ, ჩანს, ეს მთლად სწორი არ უნდა იყოს: 80 წელზე მეტია, რაც კანადაში წყლის გადასაქარად ხის მილსადენს იყენებენ. ხის (უფრო სწორად, ფირფიცრის) მილსადენში შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში იდინოს ისეთმა სითხემ, რომელიც ლითონს უანგავს და მალე უფარგისაც ხდის. ფირფიცრის მილსადენის დიდი ღირსება ისიც არის, რომ იგი მსუბუქია და, ადგილზე მისი მიტანა და ჩაწყობა გაცილებით იაფი ჯდება.

კინო მებრძოვი

ერთი პორტუგალიელი ინჟინრის აზრით, მეტროს გვირაბის კედლები შეიძლება გამოყენებული იქნეს ვენებერთელა ეკრანად. მათზე, როგორც მულტიფილმშია ხოლმე, დაიხატება კადრები, რომლებიც მატარებლის სვლის დროს მგზავრების თვალწინ „გაცოცხლებიან“. ასეთი „ფილმის“ გახმოვანებაც ძნელი არ არისო — ირწმუნება ამ ორიგინალური იდეის ავტორი.

25 ათასი წლის წინათ

ჩვენი ერის დამდეგს სწავლულები ამტკიცებდნენ: ადამიანი აზიიდან ჩრდილოეთ ამერიკაში 5 ათასი წლის წინათ მოვიდაო. შემდგომში ეს დრო 10 ათასი წლით გადაწიეს, მერე — 15 ათასი წლით; ამ ბოლო ხანებში აღიასკის მთებში ქვის იარაღის პოვნის შემდეგ კი ეს თარიღი კიდევ უფრო შორს — 25 ათასი წლის იქით გადაიწია.



ბარმიტები — „მებრძოლოვანი“

ეთნოგრაფმა ხოსე მარია ლიმამ, რომელიც 80 წელი იკვლევდა ჭუნგლების ცხოვრებას, აღმოაჩინა, რომ ტერმიტები წყალ-

დილობის წინ ძალზე აღივსებნიან ხოლმე. აქეთ-იქით აწყდებიან, ადრე ხვდებიან ერთ ადგილას იკრიბებიან. „მთავარი მეტეოროლოგები“, როგორც უწოდებს მათ ლიმამ, „კოფერენციაზე“ მიემუშავებენ. აქ ისინი ერთმანეთს უღვაწებენ უცვაუნებენ — ალბათ ერთერთს თავიანთ მოსაზრებებს უზიარებენ. შემდეგ ტერმიტების მრავალათასიანი არმია ლაშქრობას იწყებს. ეს განსაცვიფრებელი სანახაობაა — მწერების მოძრაობა მასა უზარმაზარ ცოცხალ ხალიჩას მოგაგონებთ. იგი ზოგჯერ ასობით მეტრი სივანისაა. სულ წინ „ქარისკაცები“ — დიდთავა და მძლავრებუბიანი ტერმიტები მიდიან. ჩვეულებრივ პირობებში მათი მოვალეობაა ტერმიტების საბუღარის დაცვა, ახლა კი სხვა ამოცანა ახორციელებს — გზა გაუკაფონ ლაშქარს და, თუ საჭირო იქნება, საკუთარი სიცოცხლეც გასწირონ დაბრკოლებათა გადასალახავად. „ქარისკაცებს“ მუშა ტერმიტების ვეება მასა მიჰყვება. ლაშქრობა რომ დასრულდება, ტერმიტები ხეებზე ადიან. მათ მიერ დატოვებული მიდამო მალე წყლით იფარება, ახალარჩეულ ალაგს კი ამ მხრივ არ ელის საფრთხე.

მართლაც მამალანის თავის ძალა?

როგორც ბულგარული ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ იტყობინება, ფილიპინელი ანთროპოლოგი მარსელინო მადედა ამტკიცებს, მაგელანის თავის ქალა აღმოვაჩინეო.

მადედამ პატარა კუნძულ მაქტონზე ჩაატარა გათხრები. მისი მიზანი იყო წინასიტარიული ადამიანის, კერძოდ, პითეკანტროპის ძვლების პოვნა. მალე მართლაც წააწყდა თავის ქალას, რომლის გვერდით დაუნჯული ესპანური მახვილი იდო. ასეთ მახვილს სწორედ მაგელანის დროს ხმარობდნენ, ხოლო თავის ქალა აშკარად ევროპული რასის ადამიანისა იყო.

ცნობილია, რომ მაგელანი და მისი თანამგზავრების ნაწილი კუნძულ მაქტონის მცხოვრებლებთან შეტაკებაში დაიღუპა 1521 წელს. მაგრამ ზუსტად არავინ იცის, თუ სად დაეცა სასიკვდილოდ განგმირული პორტუგალიელი მოგზაური, რომელმაც დაამტკიცა, რომ დედაამიწას ბურთისებრი ფორმა აქვს.

ზოგიერთი ფილიპინელი სწავლული კი ამბობს: ნაპოვნი თავის ქალა მაგელანის კი არა, მისი ექსპედიციის ერთ-ერთი წევრისააო.



...მეხსარბამდე. ჭეკა-ჭუხილის დროს შიშისაგან აცახცახებული რომის იმპერატორი ტიბერიუსი დაფენის გვირგვინს იღებდა თავზე: რომაელების რწმენით მეხი არასოდეს არ დაეცემოდა კეთილშობილ დაფენას. არც სელაას გაეკარება მეხი, — ირწმუნებოდნენ ისინი. — სახლის

საბურავზე სელაპის ტყავები დააგეთ და შეგიძლიათ დამშვიდებით დაიძინოთო.

ძველი ბერძნები სხვა ხერხს იყენებდნენ: მეხის ასარიდებლად თავიანთ სახლებს გარს ავლებდნენ თეთრი ყურძნის ვაზს.

ჩვენი საუკუნის დამდეგსაც კი იწერებოდა, რომ ასეთი „რეცეპტები“ შეიძლება უცნაური გვეჩვენოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ემყარებოდნენ იმ გავლენას, რასაც ხეები და სხვა მცენარეები ატმოსფერულ მოვლენებზე ახდენენ“.

დიდი კარლოსის ჭარისკაცები „ციური ცეცხლისაგან“ თავს იცავდნენ

თავიანთ გვერდით მიწაზე ჩარქობილი შუბებით. ქალაქელები მეხის არიდებას ზარების რეკვითა და ლოცვით ცდილობდნენ... ცენტრალური აფრიკის ზოგიერთი ტომი კი ციოთ მოვლენილი უბედურების მიზეზად ქუხილის ფრინველის განარისხებას თვლიდნენ. ეს ფრინველი დეწებოიანი ბატის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, ამიტომ იჭერდნენ ბატებს და მათგან „ჭადოსნურ“ მალამოს ამზადებდნენ. ამ მალამოს თუ ქოხს წაუსვამთ, ქუხილის ფრინველი მას ახლო არ გაეკარებაო, — ეუბნებოდა ხალხს ჭადოქარი.

„იუნი ტენიკი“.



**პასუხი
№1-ში
მოთავსებულ
„მხრეპლიგულზე“
ქროსვორდი**


თარაზულად: 1. არქიტექტურული ან სკულპტურული ნაგებობა გამოჩენილი პიროვნების უკვდავსაყოფად; 6. ბაქტერიის უმცირესი ნაწილაკი; 8. ხილისაგან დამზადებული ნაწარმი; 9. ქალაქი ლიტვის სსრ-ში; 10. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტკბილი ნაყოფის მსხმოიარე მცენარე; 12. ქიმიური ელემენტი; 14. ჯ. ლონ-

დონის რომანის გმირის გვარი; 17. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის გამოყოფი არხი; 19. ძლიერი და დაბალი დარტყმა ჩოგბურთში; 23. დაბა საქართველოში; 24. მომღერალთა

ზღვაში; 36. სახელმწიფო დასავლეთ ამერიკაში; 37. ქალაქი იაპონიაში; 38. ხეობა ჯვრის უღელტეხილზე; 39. შუა ქართლის სოფელი, ძველი ისტორიული ქალაქი; 40. კავკასიონის მწვერვალი; 41. საღებო ნივთიერება, რომელსაც იღებენ ენდროს ფესვებისაგან.

შპეულად: 2. ატომის ბირთვი შემაჯავლი ნაწილაკი; 3. ნიკელის წითელი ალმადანი; 4. მოქმედების ამოცანა ანუ... 5. სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 7. ახალი წლის მახარობელი; 11. ზღაპრული, ლეგენდარული ან ისტორიული შინაარსის ლექსი; 18. მინდვრის დედოფლად წოდებული ყვავილი; 15. პიროვნება, რომელსაც აკისრია უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობა; 16. სოკოს ერთ-ერთი სახე; 18. მთა სომხეთ-თურქეთის საზღვარზე; 20. ქალაქი პოლონეთში; 21. მიწის საზომი ერთეული; 22. ნ. ლომოურის მოთხრობა; 27. მდინარე საქართველოში; 28. მუსიკალური წყობა, რომლის ბგერები ჰჰმნის მცირე ტერციაზე აგებულ აკორდს; 31. მაგარი ცხიმოვანი ნივთიერება, რომელსაც იყენებენ სანთლების დასამზადებლად; 32. ქალაქი რუმინეთში; 38. თავის ტკივილის გამაყუჩებელი წამალი; 34. ოპერა „სევილიელი დალაქის“ გმირი; 35. ქალაქი ევროპაში.

გიბ ჩიტაბა,
ქ. გორის მე-8 საშ. სკოლის VIII კლ. მოსწავლე.



დებული ნაწარმი; 9. ქალაქი ლიტვის სსრ-ში; 10. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტკბილი ნაყოფის მსხმოიარე მცენარე; 12. ქიმიური ელემენტი; 14. ჯ. ლონ-

ჯგუფი; 25. გამოჩენილი საბჭოთა მოქადაგა; 28. მდინარე ლიახვის შენაკადი; 29. ყვავილი; 30. ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში; 31. სახელმწიფო ხმელთაშუა

თარაზულად: 1. დაისი; 3. კეიტა; 5. ნორვეგია; 6. ამური; 8. ოსეთი; 10. ბრნო; 12. დელი; 13. ცელი; 14. აისი; 15. არმია; 17. გოგრა; 19. ბიოლოგია; 20. ილიკო; 21. ათა-სი.

შპეულად: 1. დაფნა; 2. ილინი; 3. კაკაო; 4. არზნი; 7. რაზდანი; 9. სამიქაო; 10. ბია; 11. ოცი; 15. ალტაი; 16. აბანო; 17. გარდა; 18. ათენი.

13 გუშაბი
ერთ კედელთან დააუენებენ 7, კუთხეში კი 8 გუშაგს.

მოძიანეთ უმცირესი რიცხვი

მოსაძებნ რიცხვს მიუმატეთ 1. მიღებული რიცხვი უნდა იყოფოდეს 2-ზე, 3-ზე, 4-ზე, 5-ზე და 6-ზე. ასეთი რიცხვია — 60. ასე, რომ მოსაძებნი რიცხვი უოფილა 60—1=59.




ამჰსნიშნა რიცხვი 142 857
შარადები

1. იანვარი.
2. ყინული.

გაყავით ძალღები
ექვსი დანომრილი წერტილი ისე შეაერთეთ ერთმანეთთან, რომ მიღებულ ექვსივე ნაწილში სამ-სამი ძალღი მოხვდეს.

მოძიანეთ მსგავსება

დააკვირდით ამ ორ ნახატს და სწრაფად მიხვდით, თითო ჰორიზონტალურ მწკრივში რომელი ფიგურებია ერთნაირი.





ქვირფასო
რედაქცია

გთხოვთ გვიპასუხოთ უპაიოხვა-
ზე — მინ არიან უპარაგვი, რა მინაზა
ლაპარაკობენ და სად ცხოვრობენ?
მოსწავლე ვ. ჩიფჩიური, ახმე-
ტის რაიონი.



„სეუჩიკვი, ჯომოლუნგა“

1953 წლის 29 მაისს, მთამსვლელებმა — თენცინგ ნორგეიმ და ედმუნდ ჰილარიმ ფეხი შედგეს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (მას ჯომოლუნგმასაც უწოდებენ), რომლის სიმაღლე 8.848 მეტრია. იქ თნუთმეტი წუთი დაჰყვეს, მწვერვალების დამპყრობთა ჩვეულებისა-მებრ ხელის ჩამორთმევიტ გამარჯვება მიულოცეს ერთ-

მანეთს, სურათები გადაიღეს, დასტკბნენ შორეთის თვალწარმტაცი ხედით... ქვემოთ მათ ახალი, ბედნიერი ცხოვრება ელოდათ. განსაკუთრებით თენცინგს, რომელიც ევერესტის დასალაშქრავად წავიდა, როგორც უბრალო კაცი, იქიდან კი გმირის სახელით დაბრუნდა. სწორედ ამიტომ შერპმა თენცინგმა თავის ენაზე წაიბუტბუტა:

თენცინგი სტუმრად ქართველ ალბინისტებთან (მარჯვნივ). მარცხნივ გურამ თიკანაძე.

„ტური ჯეი, ჯომოლუნგა“ — „გმადლობთ, ჯომოლუნგმა“.

აღმოსავლეთ ჰიმალაის მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ შერპებთან მჭიდროდაა დაკავშირებული მთამსვლელობა. ბევრი ფიქრობდა, რომ სიტყვა — „შერპი“ „მზიდავს“ ან

„გამყოლს“ ნიშნავს, რადგან ყოველი მაღალმთიანი ექსპედიციის მგზურები შერპები არიან.

სინამდვილეში კი „შერპი“ „აღმოსავლეთის კაცს“ ნიშნავს. შერპები მონგოლური წარმოშობისანი არიან და მათი წინაპრები ოდესღაც ტიბეტში ცხოვ-



კეთილშობილი მცენარე

დიდმა მცენიერმა კარლ ლინეიმ დაფნას კეთილშობილი მცენარე უწოდა, ალბათ, იმიტომ, რომ ძველ საბერძნეთსა და რომში დაფნის გვირგვინით ამკობდნენ ოლიმპიურ თამაშობებსა და ომში გამარჯვებულებს, გამოჩენილ მცენიერებს, პოეტებს, მხატვრებს...

სიტყვა „ლაურეატი“ დაფნის გვირგვინოსანს ნიშნავს და ლათინური სახელწოდებიდან არის წარმოშობილი — ლათინურად დაფნას „ლაურუს“ ჰქვია. იგი ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა. მისი ფოთლებისაგან გამოხდილ ეთეროვან ზეთს იყენებენ კულინარიაში, საკონსერვო წარმოებაში, პარფუმერიაში და კოსმეტიკაში, აგრეთვე საკონდიტრო ნაწარმისა და სხვადასხვა სასმელის, მათ შორის, საქვეყნოდ ცნობილი იტალიური ლიქიორის „ბოკლარნოს“ დასამზადებლად.

ეთეროვან ზეთს მცირე რაოდენობით იძლევიან აგრეთვე ამ მცენარის ტოტები, შერქანი, ქერქი, ფესვები. დაფნის ნაყოფისაგან გამოწარული ცხიმოვანი ზეთი და დანაყილი ნაყოფი შედის ზოგიერთ მაღამოში, რომლებიც გამოიყენება ქეცის გამომწვევი ტკიპების, რევმატული დაავადებების, სიმსივნეების, კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ და ა. შ.

დაფნის ხე მარადმწვანე ლამაზი მცენარეა. ძლებს რამდენიმე ასეულ წელს, კარგად იტანს გასხვლასა და

დეკორატიული ფორმის მიცემას, ამის გამო მას იყენებენ ცოცხალ ღობედ, ეზოების, გზების, პარკების გასამწვანებლად, ციცაბო და ჩამორეცხილი ფერდობების გასამაგრებლად და სხვ.

დაფნის მერქანი სურნელოვანი, მოთეთრო, მკვრივი და გამძლეა, კარგი მასალაა სხვადასხვა მხატვრულ ნაკეთობათა დასამზადებლად.

დაფნის სამშობლოდ, გარდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისა, კოლხეთიც უნდა მივიჩნიოთ. საბჭოთა კავშირში დაფნის ფოთლის ძირითადი დამამზადებელი საქართველოა.

ანან ნიშნაძე.





რობდნენ. უთუოდ ამიტომ მათი ენა ძალზე წააგავს ტიბეტურს. თითქმის ერთნაირია მათი ტანსაცმელი, საჭმელი (ისინიც ჩაის მარლით და დამალეზული იაკის ქონით სვამენ), ჩვევები. სარწმუნოებაც ერთი აქვთ — ბუდისტები არიან. შერაპები, რომელთა რაოდენობა ამჟამად დაახლოებით ასი ათასია, ძირითადად ნეპალის ჩრდილო-აღმოსავლეთით კატმანდუს ხეობაში — სოლო კსუმბუში ცხოვრობენ (ცენტრია დარჯინლინგი).

კატმანდუს ხეობა წარმოუდგენელია ტაძრებისა და ჰიმალაის დათოვლილი, „რვაათასიანი“ მწვერვალების გარეშე. ჩრდილოეთის ამ მკაცრ მხარეს რომ გაეცნოთ, დიდი მოთმინება და გამძლეობა გმართებთ — ცხენით უნდა გაიაროთ უფსკრულებით დასერილი უამრავი ხეობა... ამიტომ უცხოელ მოგზაურებს უფრო დედაქალაქ დარჯინლინგის კომფორ-

ტული სასტუმროები და ახლო მდებარე ეგზოტიკური ტაძრები იზიდავთ.

მაგრამ ამ მხარეს უფრო მეტად ყველა ქვეყნის მთავსვლელები ეტანებიან — სურთ ცადაზიდული რვაათასმეტრიანი მწვერვალების — ჯომოლუნგმას, მაკალუს, დხაულაგირის, კანჩენჯანგას, ანაპურნას და ლაშქვრას. როგორც წესი, მათ მიჰყვება დაქირავებული მზიდავების — შერაპების მთელი არმია. ამგვარად, შერაპების შემოსავლის ერთადერთი წყარო მთავსვლელობა გახდა. როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ხალხს, შერაპებსაც შვიდიანი ბედნიერ რიცხვად მიაჩნიათ, ამიტომ თენციგსაც სჯეროდა გამარჯვებისა, როცა მეშვიდედ შეერკინა ევერესტს.

ამ ისტორიული ასვლისათვის მზადების დღეებში მწვერვალის მისაღებობი

ხალხით იყო სავესე — რამდენიმე ასეული შერაპი მონაწილეობდა ათობით ტონა მთავსვლელები საჭურვლის, სურსათისა და რადიო-ტექნიკის გადაზიდვაში... სწორედ ამ დროს მოხდა საინტერესო ამბავი. ამ ასვლაში თენციგი შერაპების უფროსის (სირდარი) უფლებით სარგებლობდა. ამასთანავე ექსპედიციის სრულუფლებიანი წევრიც იყო. როცა საექიმო კომისიამ იგი ყველაზე ჯანმრთელად სცნო და მწვერვალზე ასვლის ნება დართო, შერაპებმა მას ნამდვილი ჯანყი მოუწყვეს. „არ გაბედო ევერესტის აღებაში მონაწილეობის მიღება. იგი თუ დაჯახნეთ, გაჰქრება მისადმი ინტერესი, ჩვენ სამუშაოს დაკარგავთ და ცოლ-შვილი შიმშილით დაგვეხოცება“, — გაჰყვიროდნენ გაფთრებული თვისტომნი.

მაგრამ ექსპედიცია შედ-

გა და, როგორც ცნობილი წარმატებით დამთავრდა.

მას შემდეგ, რაც 1950 წელს ფრანგი ალპინისტები — ერსოგი და ლიაშენელი ანაპურნაზე (სიმაღლე 8.078 მეტრი) ავიდნენ, ჰიმალაის მწვერვალებზე ლაშქრობა არ შემწყდარა და დღეისათვის უკვე არც ერთი რვაათასმეტრიანი მწვერვალი არ დარჩენილა აუღებელი. დასავლეთეგროპულ და ამერიკელ მთავსვლელთა ამ გამარჯვებებში დიდი წვლილი სწორედ შერაპებმა შეიტანეს.

ნეპალის მთავრობა გარკვეულ შემოსავალსაც იღებს ექსპედიციის ხელმძღვანელთაგან. თანხის ოდენობა იმ მწვერვალის სიმაღლეზეა დამოკიდებული, რომელზეც უნდა ავიდნენ. რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო მატულობს გადასახადის თანხა. მაგალითად, მომავალ სეზონში ნეპალი ალპინიზმისა და ტურიზმისაგან ხუთ მილიონ დოლარს მიიღებს.



საქართველო

ჯურბს ნადირაძე

არქეოლოგიური
ნარკვევები

იმ არეზარეზე თითო-ოროლა ქართულ სოფელს თუ შეხვდებოდა დღეს კაცი. თურქეთთან ახლო მეზობლობამ სამუდამოდ დაასვა დალი ამ მხარეს; მოსახლეობის უმრავლესობა საუკუნოვან ბრძოლას შეეწირა, ნაწილი კი აიყარა და გადასახლდა.

რათა სხვაგან უფრო გულმშვიდად ეცხოვრა, მაგრამ ამ ცადაწვდენილი მთების ძირას გაფენილმა უორღანებმა მაინც მოიტანეს ჩვენამდე წინაპართა ბურუსით მოცული ისტორია. წალკის ზეგანზე, თრიალეთში მიმდინარე არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელიც ამ ოცდაათიოდე წლის წინათ დაიწყო, ნათელი მოჭვინა მრავალ, მანამდე უცნობ პრობლემურ საკითხს. წიგნის ავტორი თვითონ იყო ბევრი არქეოლოგიური ძიების მონაწილე, ამიტომ მიმზიდველად აქვს გადმოცემული არქეოლოგიის — ამ საინტერესო და ძნელი პროფესიის რომანტიკა. იგი პოპულარულად, ხატოვანი ენით ჰყვება და იოლად მიაქვს მკითხველამდე სათქმელი.

ეს წიგნი მკითხველთა ფართო მასებთანთვის არ-

ის განკუთვნილი და ფაქტიურად პირველი პოპულარული ნაშრომია არქეოლოგიაში, ამიტომ მას სიამოვნებით წაიკითხავს არა მარტო არქეოლოგიით გატაცებული მკითხველი, არამედ ყველა, ვინც ჩვენი ქვეყნის ისტორიით არის დაინტერესებული.



ყაყაჩოსა
სიწითლითა

„ყაყაჩოსა სიწითლითა“ ქართულ საბავშვო ზეპირსიტყვიერების საუკე-

თესო ნიმუშთა კრებულია. მასში გარდა ლექსებისა, შეტანილია გამოცანები (ლექსად ნათქვამი), ანდაზები, თამაშობანი, ენის გასატეხი და გამოსაჯავრებლები. თითოეული მათგანი საუკუნეთა მანძილზე გულდაგულ დაუხვეწიათ ჩვენს წინაპრებს. ამ ლექსებით, ამ გამოცანებით ეცნობოდნენ სამყაროს გლეხისა თუ თავადის შვილები და მეფისწულები, იმ ანდაზებით სწავლობდნენ ცხოვრებას, იმდიდრებდნენ მესიერებას, ენას იმართავდნენ.

წიგნი ძალზე ლამაზად არის გაფორმებული მხატვარ თენგიზ მირზაშვილის მიერ.

„ყაყაჩოსა სიწითლითა“ მრავალი წლის თავდაუშოვავი შრომის შედეგად შეკრიბა და შეადგინა გიგი ხორნალუმა.



ტანსაცმლის ჩამოსაკიდის ღერძულაზე გადაკიდებული შარვალი რომ არ დაცურდეს, ღერძს ფოროვანი რეზინის ზონარი შემოახვიე.

ასე რიგად მოხრილი რბილი მავთულის ნაჭერი, შეგიძლია საღებავიან ქილაში ჩადო და ხანმოკლე შესვენების დროს ზედ ფუნჯი დაკიდო.



ხერხით თხელი ფირფიცრის გაკრა არ არის იოლი — ხერხი, წამდაუწუმ გარბის აქეთ-იქით. ფირფიცარს ქვეშ ამოუდრე მოსქო ფიცარი და






ფირფიცარი შენს ნებაზე გაიკრება.

წვრილი ლურსმნების ჩაქედებისას, თითები რომ არ დაიჭებოდეს, ლურსმნის სარეცხის სპეციალური დიკავე.

თუ გინდა გირაგში ქაჩი მორიზონტალურად ჩამაგრო, ქაჩის გვერდები წინდაწინ ჩამოქლიბე.

ლითონის, პლასტმასის თუ ეტერნიტის მიღები ასეც შეიძლება გადაბა ერთმანეთს, მიღების პირები ერთმანეთზე ზუსტად მოარგე, შემდეგ წებო გაუსვი და მავთული მოუჭირე.

მავთულის ქაჩის გაყვანის დროს, ბოლოების მოსახრებად კარგი იქნება თუ ლითონის ასეთ ფირფიცას გამოიყენებ, იგი ამ საქმეში ბევრად სწობს ბრტყელტუჩას.



ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

ივარდაძე ზ. — ახალი ლექსები	1	იონ ევერი — ძაღლი ყველაფერს ხვდება	22
სანადირაძე ბ. — საქორიანე, ტყეების იქით... (მოთხრობა)	2	ბაბაშელი მ. — მე, ქუჩა და ავტომობილი (წერილი)	24
ბარბაქაძე რ. — საქართველოს სადღეგრძელო (ლექსი)	8	სოხაშვილი ბ. — სამთავისის ტაძარი (წერილი)	26
მგელაძე ნ. — კეთილი სიტყვის ფასი (ახლა რომ 14 წლისა ვიყო)	8	ჯადოსნური სარკე	28
შამანაძე ნ. — სხივთა თამაში (მოთხრობა, გაგრძელება)	10	სპორტული დასვენება	29
მოსწავლეთა შემოქმედება	14	კითხვა-პასუხი	30
დიმიტრიშვილი ე. — მიეცი ნიჭსა გზა ფართო... (ნარკვევი)	20	ბუნების კარი	30
		ახალი წიგნები	30
		გამოგადგები	32

პირველი გვერდის მხატვრობა — ზურაბ მემმარიაშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შოლია.
 სარედაქციო კოლეგია: შოთა ბაბუღია, ნოდარ გუჩუაშვილი, შოთა დევიდანიანი, სერგო კლდიაშვილი, გუჩუაშვილი, ზურაბ ლეშაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, ბიორე ფოტოშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—83-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივანს 83-97-05 93-53-05 განყოფილებების—83-97-02 93-97-01

საქ. კ. კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა თბილისი ლენინის ქ. № 14. *ПИОНЕРИ* на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии. Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადრეკა ასაწყობად 18/ХИ-72 წ. ხელმოწერილობა დასაბეჭდად 5/И-73 წ. ქართლის ფორმატი 60x90%, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საბარბეჭო-საგამომცემლო თიხაბი 3,10. შუკა № 1103. ტარ. 134.500. უფ. 01725.

უახი 20 კაპიტ



კვანძები

თის ხელისგულებს შეეხეთ. (გააკეთეთ 6—8-ჯერ).

3. პირისპირ დადებით, ფეხები გაშალეთ. ხელები ერთმანეთს მხრებზე დაადეთ. ტანი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადახარეთ. (გააკეთეთ რვა-ჯერ).

4. ისევ ისე დადებით. მარჯვენა მარჯვენას მოჰკიდეთ, მარცხენა — მარცხენას. ხელებში გამტრებით ხან ერთ, ხან მეორე მიმართულებით იტრიალეთ. (გააკეთეთ ოთხ-ჯერ).

5. პირისპირ დადებით. ფეხის თითებით ერთმანეთს შეეხეთ. ერთმანეთს ხელები ჩაჰკიდეთ და ასე ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა 8-ჯერ ჩაბუქნეთ და წამოდეთ.

6. ერთმანეთისაგან ერთ ნაბიჯზე დადებით, ხან მარცხენა ფეხი გაიშვირეთ წინ, ხან მარჯვენა და მეწყვილის ფეხი ხელით დაიჭირეთ. (გააკეთეთ 8-ჯერ).


7. წრე შემოხაზეთ, შიგ ცალი ფეხით ჩადეთ. მეორე ფეხი მოხარეთ. ხელები ზურგს უკან შემოიწყვეთ, ერთმანეთს მხრებით შეეჯახეთ და ეცადეთ მოწინააღმდეგე წრიდან გაავლოთ. ვინც მეტჯერ გაავლებს მოწინააღმდეგეს წრის გარეთ, გამარჯვებული ის იქნება.

ხის პურთულა

ხის თამაშებისაგან დაამზადეთ 80 სმ ზომის ჩარჩო და ფეხებზე დაამაგრეთ. თამაშებს ნახვრეტები გაუყეთეთ და მათში წვრილი ზონარი გაუყარეთ ისე, რომ ნახვრედიანი ბაღე მიიღოს. ვერტიკალური და ჰორიზონტალური ნახვრეტები დანომრეთ, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები. გამოთალეთ 30 მმ დიამეტრის მქონე თორმე-

ფერის სამი წყვილი ბურთულა მქონდეს.

მოთამაშე ჩარჩოდან ოთხი მეტრის დაშორებით უნდა დადგეს და ნატურალური ბურთულები ბაღეს ჩამოაცვას. თუ ამას მოახერხებს, ჩაეთვლება ის რიცხვი, რომელიც წარწერილია ბურთულებჩამოცმული უჭრედის ჰორიზონტალზე. თუ წყვილი ბურთულა უჭრედის კუთხეში მოხვ-








ტი წყვილი ხის ბურთულა. თითოეული წყვილი 10 სმ სიგრძის ზონარით შეაერთეთ ერთმანეთთან. ბურთულები შეღებულ ნაირფრად ისე, რომ ოთხი მოთამაშიდან თითოეულს ერთი და იგივე

ღება და ორ ზონარზე ჩამოეკიდება, მოთამაშეს დაეწერება შესაბამისი ჰორიზონტალური და ვერტიკალური რიცხვების ერთმანეთზე გადაშრავლებით მიღებული ქულა.

1. დადებით ზურგმჯექი კევით. ფეხები მხრების სიგანეზე გაშალეთ. ნელ-ნელა აიწიეთ თითის წვერებზე, ხელები ჯერ წინ გასწიეთ. შემდეგ მალა-ვიდრე ერთმანეთს თითებს არ შეეხებით. შემდეგ თანდათან დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. (გააკეთეთ ექვს-ჯერ).

2. ისევ ისე დადებით. ერთდროულად ტანი ხან მარჯვნივ მიაბრუნეთ, ხან მარცხნივ და ერთმანე-



3



4

5



6

7

8121/48



5



2

საფრანგული კარები




1. პრემიერი პრემიერი „რემო“ (საფრანგული, 1898 წ.) ორადგილიანი. პრემიერი პრემიერი, 3.5 ცხ. კბ. კბ. ლიტრ, სიჩქარე საათში 25 კმ. წონა 300 კგ.

2. „მორისი“ (ინგლისი, 1912-1925 წწ.) ორადგილიანი, 4 ცილინდრიანი, 4 ცხ. კალბრის სიჩქარე საათში 60 კმ. წონა 500 კგ.


3. „პანდორა“ (გერმანია, 1912-1924 წწ.) ორადგილიანი, 4 ცილინდრიანი, 12 ცხ. კალბრის, საათში 70 კმ. წონა 500 კგ. კომპარტმენტული.

4. „კამეო“ — გერმანია (საფრანგული, 1912-1922 წწ.) ორადგილიანი, 4 ცილინდრიანი, 6 ცხ. კალბრის, სიჩქარე საათში 60 კმ. წონა 400 კგ.


5. „ოლსმობილი“ (აშშ 1901-1904 წწ.) ორადგილიანი, 1 ცილინდრიანი, 6 ცხ. კალბრის, სიჩქარე საათში 35 კმ. წონა 350 კგ. კომპარტმენტული.



1



3



4